პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. სრქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წევრის 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. სტრიქონებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. სტრიქონებით.

№ 31 (883) ხუთშაბათი, 7 თებერვალი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით.

№ 31 (883)

დღიური

ამერიკაში მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი და მოვიდა დიდი თოვლი.

გამოქვეყნდა მაკდონალდის მთავრობის საგარეო პროგრამა.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში იზრდება.

საბერძნეთში გადადგა ვენიზელოსის მთავრობა.

ძლიერ ავად გახდა საფრანგეთის ცნობილი მწერალი ანატოლ ფრანსი.

სამხრეთ სლავიაში დიდი თოვლის მოსვლის გამო შეწყდა მატარებლების მოძრაობა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, პარასკევს, 8 თებერვალს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი წამოაყენონ თვით იაჩეიკებმა და რაიკომებმა.
ტ. კ. მდივანი რუბენი.

საბჭოთა საკავშირო ყრილობის გამო

ლენინი აღარა გვყავს, მაგრამ მისი ლენინიზმი ცოცხალია და მისი ძლევამოსილი დროშის ქვეშ ჩვენ შევსძლებთ პროლეტარიატის საბოლოო მიზნის—კომუნიზმის განხორციელებას. ეს აზრი განმტკიცებულია ჩვენს რიგებში ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, ყოფა-ცხოვრებაში და ამას კარგათ გრძნობს ჩვენი ძველი მოწინააღმდეგეთა უმრავლესობაც, რომელიც არავითარ ფანტასტიურ გეგმებს და ჩვეულებრივ წინასწარმეტყველებას საბჭოთა ხელისუფლების აღსასრულის მოახლოების შესახებ აღარ უჯერის.

ეს ნათლად გამოჩნდა ლენინის დასაფლავების უახლოეს დღეებში, როდესაც ისეთმა ბუმბერაზმა სახელმწიფომ, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იურიდიულათ იცნო საბჭოთა კავშირი და ეჭვი არ არის, რომ მის მაგალითს იტალიასთან ერთად მიბაძავენ დანარჩენი კაპიტალისტური სახელმწიფოებიც. ეს ფაქტი მოხდა იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა საკავშირო საბჭოთა ყრილობის სხდომები, რომლის მუშაობა აგრეთვე იმის საუკეთესო დამამტკიცებელი იყო რომ მშრომელთა ძლიერი კავშირი შესძლებს თავისი ბელადის მიერ ნაჩვენები გზით სვლას, რომ ვერავითარი განსაცდელი ვერ აღუდგება წინ მშრომელთა ძლიერ ნებისყოფას, ვერ შეაჩერებს მის აღმშენებლობითი ენერგიას.

უმთავრესი კრიზისები განვლილია, მთელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი აღორძინების გზაზეა შემდგარი და მთელი ჩვენი ენერგია, ცოდნა-გამოცდილება მხოლოდ იმას უნდა მოვახმაროთ რომ ეს აღორძინების ტემპი დავაჩქაროთ და შევსძლოთ ამ გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვა. „მუშების გლეხებთან დაკავშირების მეთოდი სწორია, ჩვენ გვაქვს მიღწევები ყველა დარგებში. აუცილებელი შეცდომები ამ ძნელ საქმეში გამოსწორებულ იქნება კოლექტიური გონებით", —დაამთავრა თავისი მოხსენება საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კამენევმა.

ყრილობის მთელი მუშაობა საუკეთესო გამოხატულება იყო ამ კოლექტიური გონების და ერთსულოვნების, რომელიც დღეს განსაკუთრებით საჭიროა, როდესაც ჩვენი გენიალური ბელადი ცივ სამარეში განისვენებს და მოკლებული ვართ საშუალებას მისი რჩევა-დარიგება მოვისმინოთ.

უმთავრესი დღეს ეკონომიურ-ფინანსიური და გლეხობასთან კავშირის საკითხებია და ამ საკითხებს ყრილობამ სათანადო ყურადღება მიაქცია. ფინანსთა კომისრის მოადგილემ ამხ. ვლადიმეროვმა ყრილობა გააცნო იმ ღონისძიებებს, რომელსაც ფინანსთა კომისარიატი მიმართავს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. განზრახულია საბჭოთა ფულის ნიშნების ნაცვლად სახაზინო ბილეთების გამოშვება, რომელთა კურსი აცილებულ იქნება საბჭოთა ნიშნების მერყეობას. თებერვლის ბოლოში კი გამოვა ლითონის ფული, რაც ჩვენი მორიგი ეკონომიური გამარჯვების მაჩვენებელია. საერთოდ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა, და თუ რაიმე ნაკლი იყო წარსულში, მიღებულია ზომები მათ გამოსასწორებლად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მომავალში მხოლოდ ფულით იწარმოებს. შემცირებულია აქციზი და სხვა გადასახადები პირველ მოთხოვნილების საგნებზე. სასოფლო მეურნეობას გაეხსნება ფართო კრედიტი ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით. ამ მიზნით გადადებულია 40 მილიონი ოქროს მანეთი, რაც გასულ წელში გადადებულ 20 მილიონთან ერთად საკმაო დიდ თანხას წარმოადგენს. მიღებულია მხედველობაში გლეხობის სურვილი, რომელიც ყრილობაზეც იქნა გამოთქმული გრძელვადიანი სესხის გაცემის შესახებ, რაც სასოფლო მეურნეობის განვითარებისთვის უფრო მეტ საშუალებას იძლევა. საზოგადოდ გლეხობის მდგომარეობას უდიდესი ყურადღება ექცევა და ძვირფასი ბელადის ანდერძი გლეხობასთან კავშირის შესახებ პირნათლად იქნება შესრულებული. ყრილობის სულისკვეთება აქეთკენ იყო მიპყრობილი.

სასოფლო მეურნეობის აღორძინების მიზნით გლეხობას მიეცემა სამეურნეო იარაღები ომამდე არსებულზე უფრო მცირე ფასებში. საბჭოთა სახელმწიფო გამარჯვებული გამოვიდა მძიმე ეკონომიურ კრიზისებიდან და დღეს ის მთელ ყურადღებას გლეხობის მდგომარეობას აქცევს. „მაკრატლის" პრობლემა დაძლეულ იქნება, სასოფლო სამეურნეო ბანკი დიდ როლს შეასრულებს ამ მუშაობაში. პურის საზღვარგარეთ გატანამ და სხვა ზომებმა უკვე თავისი გავლენა მოახდინეს ფასების შეფარდების საკითხში.

ყრილობის მიერ გამომუშავებული ზომების ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო დაგვაახლოვებს მიზანს, ლენინის მემკვიდრე კომპარტია და საბჭოთა კავშირი შესძლებს ყველა ამოცანების სავსებით გადაჭრას, ეკონომიურ-პოლიტიკურ ფრონტზე მორიგ გამარჯვებათა მიღწევას.

აღმშენებლობითი მუშაობა ჩვენს მაზრებში

საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ მასებში დიდი პოტენციალური ძალა აღმოაჩინა. თითქმის ყველა ჩვენი მაზრები შეუდგნენ აღმშენებლობას, მართლაც უსაზღვრო სურვილითა და ძალით, მაგრამ ხშირად, საუბედუროდ, სრულიად უგეგმოდ და უანგარიშოდ.

ჩვენი მაზრების მცხოვრებთა თითქმის 100 პროც. გლეხობა არის, მაშასადამე, აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობის საჭირბოროტო საკითხებს. ჩვენ ვიცით, რომ დღეს გლეხების ცხოვრებაში ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია ეგრედ წოდებული „მაკრატელი". ჩვენი გლეხობა ძალიან ღარიბია. მას გასაყიდი ზედმეტი პროდუქტები თითქმის არაფერი აქვს. ის ამზადებს მხოლოდ თავის ოჯახისათვის საკმაო მარაგს: პირნახულსა და სათბობ მასალას. მაგრამ ის თუ იძულებული ხდება ამ მარაგიდან ნაწილი ბაზარზე გაიტანოს და ოჯახის წევრთა პურის ულუფას მოაკლოს, ეს იმიტომ, რომ ტანზე რაიმე ჩაიცვას და აუცილებელი საჭიროების საგნები: საპონი, მარილი და ნავთი—შეიძინოს. ეს ნივთები კერძო სპეკულიანტების ხელში გლეხისათვის საყიდლათ მიუწდომელია. თუმცა მთავრობამ პირველ საჭიროების ნივთებს ფასები დაუკლო, მაგრამ ეს მოხდა სახაზინო დიდს სავაჭროებში და უმეტესათ ქალაქებში. სოფლებში კი ვაჭრობა უმთავრესად წვრილ მედუქნეების ხელშია. აქ, რა თქმა უნდა, ვაჭრების კლანჭებიდან გლეხების ხსნა მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივების გამრავლებას შეუძლია. საუბედუროდ, ამ საკითხს აქამდე ჩვენში სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული.

მაზრებში აშენებენ: სკოლებს, თეატრებს, კლუბებს, სახალხო სახლებს, სამკითხველოებს, ელექტრონის სადგურებს და სხვა მრავალ ასეთებს. სიღნაღის მაზრაში ზოგიერთ მივარდნილ სოფლებში აშენებს თეატრები და კლუბები. ქუთაისისა და სენაკის მაზრებში აშენებს ნამდვილ სასახლეებს. ბორჯომში, სურამში, ოზურგეთის მაზრის თითქმის ყველა რაიონებში, აკეთებენ ასეთსავე სასახლეებს, თეატრებს. მაგრამ ყველაზე უფრო ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში ელექტროფიკაციის საკითხმა. ამ საქმეში მაზრები ერთმანეთს შეეჯიბრნენ. პირველი ჰიდროელექტრონის სადგურის აგება დაიწყო სენაკის მაზრამ. მას მიყვა ახალციხე, დუშეთი და სხვები. ახალციხის მაზრამ დაიწყო სადგურის აშენება ვითომ თავის ხარჯზე, მაგრამ ბოლოს ამ ხარჯების უმეტესობა მთავრობას დააწვა კისერზე. ასეთსავე მდგომარეობაშია სენაკის ჰიდროელექტრონის სადგურის საქმე. დუშეთის მაზრამ უკანასკნელი კაპიკები დახარჯა ელექტრონის სადგურის მოწყობაში და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ენერგიას არავინ ყიდულობს, რადგანაც ის ნავთზე უფრო ძვირია. ასევე არ მოუვიდეს სენაკსა და ახალციხეს.

ელექტროფიკაცია, რა საკვირველია, ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ყოველივე მოვლენას დრო და ადგილი უნდა გააჩნდეს. როდესაც ჩვენ გლეხებს კერძო ვაჭრები ატყავებენ, მაზრის მშრომელთა ქონება ვაჭრების ჯიბეში მიდის, და გლეხების უმეტესობა უპერანგოთ დადის, ამ დროს ელექტროსადგურების მოწყობამ უნდა მოიცადოს, და მთელი ძალღონე უნდა მოხმარდეს კოოპერატივების გამრავლებას. კულტურული მოწყობა მაზრებში პირველად ყოვლისა უნდა იქნეს ნაკარნახევი ღარიბ გლეხობის ინტერესებით. ელექტრონი კი დღეს მათ თუ ესაჭიროებათ, მხოლოთ აუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ.

ჩვენ გვაქვს მაზრებში სკოლები (მენშევიკების დროსთან შედარებით თითქმის ერთი ორად). მაგრამ ამ სკოლებით პირველად ყოვლისა სოფლის კულაკები და ვაჭრების შვილები სარგებლობენ. რათ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენ სკოლებისათვის დღემდი ვერ შევქმენით სახელმძღვანელო წიგნები ღარიბ გლეხობისათვის უფასოდ დასარიგებლად. ამავე დროს განათლების სახალხო კომისარიატის საწყობები სახელმძღვანელო წიგნებით სავსეა და მაზრები მათ ვერ ყიდულობენ. რესპუბლიკის ბიუჯეტი. 51 პროცენტს განათლების სახალხო კომისარიატი ხარჯავს სკოლების მოწყობაზე და მასწავლებლების ჯამაგირებზედ. მაგრამ ამას სათანადო სარგებლობა ვერ მოაქვს, რამდენადაც მოწაფეებს სახელმძღვანელოები არა აქვთ მაშასადამე, ჩვენ უნდა შევაჩეროთ სკოლების გამრავლება და უნდა ვცადოთ უკვე არსებულ სკოლებისათვის სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები შევიძინოთ. მეორე გამოსავალი გზა არის ისევ კოოპერატივების გამრავლება, რომ ღატაკ გლეხს შეეძლოს შვილის შემოსვა და მისთვის წიგნების ჩასაწყობი ჩანთის შეკერვა.

თუ მაზრების უმრავლესობაში ადგილობრივი შემოსავალი უგეგმოდ იხარჯება, მეორე მხრით არის ისეთი მაზრები, სადაც არავითარი ადგილობრივი შემოსავალი არ არსებობს და არც აღმშენებლობას აქვს ადგილი. ასეთი მაზრებია ზემო სვანეთის, ლეჩხუმის, დუშეთის და რაჭის (თუ არ ვიანგარიშებთ იმ გზებისა და ხიდების შეკეთებას, რომლებიც შარშან წყალდიდობამ დაანგრია). ამ მაზრებში სკოლებიც ნაკლებად არის და კოოპერატივებიც. აქაური გლეხობა თითქმის ნატურალურ წარმოების საშუალებით აკმაყოფილებს თავიანთ მოთხოვნილებებს. გაცვლა გამოცვლის საშუალებას მოკლებული კულტურულად ჩამორჩენილი, აქაური გლეხობა გადაგვარების გზას ადგია (მაგ. ხევსურები). არც ხევსურეთსა და არც სვანეთს საურმე გზები არა აქვთ. თავიანთ ნაწარმოების ბაზარზე წაღება და გასაღება არ შეუძლიათ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოვლად დაუშვებელია, რომ ტფილისიდან 80 ვერსის მანძილზე გოტენტოტების მაგვარი ბნელი ხალხი ცხოვრობდეს (ტფილისიდან ხევსურეთამდის პირდაპირი ხაზით 80 ვერ.). ამ ბნელ კუთხეებში ბუდობს ყაჩაღობა და ქურდობა, სისხლის აღება და ქალთა მონობა, ვიწრო ნაციონალური შუღლი და კარჩაკეტილობა. მათი სიბნელით მენშევიკებმა ისარგებლეს და ერთი წლის წინათ სისხლის ღვრა გამართეს. უნდა გამოინახოს გზა ამ მაზრების აღორძინებისა. რასაკვირველია, სხვა მაზრების ან ცენტრის დაუხმარებლად ეს შეუძლებელია.

ჩემის აზრით, მაზრებში გეგმიანი მუშაობისა და კულტურულ აღმშენებლობისათვის უნდა შეიქმნას რაიმე ორგანო. შესაძლებელია ეს ორგანო შესდგეს მაზრის აღმასკომთა თავმჯდომარეების საბჭოს სახით. ამ ორგანოს მოწყობა შეიძლება დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას, ხოლო მისი ხელმძღვანელობა რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს. ეს საკითხი უკვე საკმარისად არის მომწიფებული და მე მგონია საჭიროა ამის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. *)

ა. ტალახაძე.

---

*) ვეთანხმებით რა ამხ. ტალახაძეს იმაში, რომ მის მიერ აღძრულ საინტერესო საკითხების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა საჭიროა, მოვუწოდებთ ამხანაგებს და განსაკუთრებით ადგილობრივ მუშაკებს გამოსთქვან თავიანთი შეხედულება.

რ ე დ ა ქ ც ი ა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ჩვენ და ინგლისი: ამხ. კრასინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას ინგლისის მხრივ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა დამაფიქრებელი იყო.

ცნობის გამოძახილი: ამერიკის გაზეთები ფიქრობენ, რომ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა დააჩქარებს ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერ.

ბელგიის მთავრობა იხილავს საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები მოითხოვენ დაუყოვნებლივ იქნას ცნობილი საბჭოთა კავშირი

ჩვენ და ინგლისი

საუბარი ამხ. კრასინთან

მოსკოვი. 5 თებერვალი. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ შეარყია მსოფლიო ომმა. ინგლისის ნახშირის, საფეიქრო და ლითონის მრეწველობის პროდუქტების რეალიზაცია ძლიერ შემცირდა ომის დროს. უმუშევრობის და ვაჭრობის კრიზისს ინგლისში ხანგრძლივი ხასიათი აქვს. შეთანხმება საფრანგეთისა და ინგლისის მძიმე მრეწველობას შორის, რომელიც მზადდება, დიდ კონკურენციას შეუქმნის ინგლისის მრეწველობას. ინგლისი მაინც ეკონომიურად ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფოა ევროპაში. ამიტომ ინგლისთან დაახლოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩვენი საგარეო ვაჭრობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კრედიტის საკითხთან. თუ მივიღებთ კრედიტს, ჩვენ შევძლებთ მანქანების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანის გადიდებას, რაც ასე საჭიროა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. კრედიტი უნდა იყოს გრძელვადიანი და უნდა გამოიხატებოდეს ასეულ და მილიონ ოქროს მანეთებში. ჩვენ არ შეგვიძლია საზღვარგარეთ ფულის სესხება, თუ არ ვიცით საიდან ვიშოვნით თანხებს ვალის თავის დროზე გადასახდელად. მხოლოდ დიდი და გრძელვადიანი სესხის მიღება მოგვცემს ჩვენ საშუალებას მივიყვანოთ ჩვენი მეურნეობა იმ დონემდი, რომ შევძლოთ პროცენტების და ვალის გადახდა. ასეთი კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ინგლისში, რომელიც ყველაზე უმდიდრესი სახელმწიფოა ევროპაში. ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობა ნიადაგს აცლის ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდენ ინგლის-რუსეთის ვაჭრობის განვითარებას და მისცემს საკრედიტო შეთანხმების დადებას. ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ეჭვს გარეშეა, გაადვილებს შეთანხმების დადებას ინგლისის კაპიტალთან კონცესიების სფეროშიც.

ინგლისის ბურჟუაზია, ეჭვს გარეშეა, შეეცდება, წამოაყენოს საკითხი ვალების, რევოლუციით ინგლისის მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის შესახებ. საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ უთქვამს უარი ამ საკითხების განხილვაზე იმ პირობით კი რომ ამ საკითხებში დაცული იქნება ორივე მხარის თანასწორუფლებიანობა.

ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა, ეჭვს გარეშეა, ნიშანი იქნება სხვა სახელმწიფოებისათვისაც დაიწყონ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის და ვაჭრობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ცდილობს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქვეყნებთან, სრულის მზადყოფნით შეხვდება ყველა ასეთ ნაბიჯებს.

ცნობის გამოძახილი

ინგლისი

ახლა კი რას იტყვის მაკდონალდი?

ლონდონი 4 თებერვალი. რაკოვსკიმ მიიღო [illegible], ლანსბერისაგან, ბრედფორდისაგან, ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან და მოსკოვში მყოფ კანადელ პოლკოვნიკ მაკკუინისაგან მისალმება ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის გამო.

„მორნინგ პოსტს" მოყავს ციტატები მაკდონალდის მიერ 1921 წ. დაწერილ წერილიდან, რომელშიც ვალების შესახებ სწერს, რომ ლენინი დასთანხმდა მეფის ვალების აღიარებაზე. მაკდონალდი მაშინ სწერდა, რომ ლენინი შეცდომას უშვებს, რადგან მომხდარი ამბების გამო მეფის მთავრობის მიერ აღებული სესხები გაუქმებულია და კრედიტორები ვერავითარ პრეტენზიებს ვერ წაუყენებენ საბჭოთა რესპუბლიკას. „მორნინგ პოსტ" კითხულობს: „ხომ არ ისარგებლებს რუსეთის წარმომადგენელი მაკდონალდის წერილით ინგლის-რუსეთის ახლობელ კონფერენციაზე?"

იაპონია

პრესის ხმა:

ტოკიო. 4 თებ. ცნობამ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ უზომოდ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც ეწინააღმდეგებოდა წინანდელ მიღებულ ცნობებს ამერიკის წყაროებიდან. **პრესა თითქმის ერთნაირად იწონებს და კმაყოფილებას გამოსთქვამს ცნობის გამო და ნანობს, რომ იაპონიის დიპლომატიამ დღემდე ვერ განაახლა ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.**

„ასახი" მოითხოვს დაუყოვნებლივ მოლაპარაკების განახლებას საბჭოთა კავშირთან, მიუხედავად იაპონიის შინაგანი არეულობისა. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ იაპონია განაგრძობს დროის შერჩევის პოლიტიკას, სახელმწიფოს შიგნით შექმნილი განსაკუთრებული პირობების გამო.

ოფიციალური „ჯაპან ტაიმს"-ი აღნიშნავს, რომ ინგლისის ნოტა ცნობის შესახებ უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სანახევროდ არის სასარგებლოდ საბჭოთა მთავრობისათვის.

საფრანგეთი

პარიზი. 4 თებ. საფრანგეთის მემარცხენე პრესა სწუხარებით აღნიშნავს, რომ მხოლოდ მარტო საფრანგეთი არ აწარმოებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულებათა აღდგენისათვის.

„ივრ"-ი აღნიშნავს, რომ საუკეთესო კონცესიებს მიიღებენ სხვა სახელმწიფოები. რუსეთში საფრანგეთის ინტერესების დამცველი ლიგა, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე—კონსერვატორი ერლიხი, მიღებულ რეზოლიუციაში პროტესტს აცხადებს საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ; ლიგა მოითხოვს, რომ ცნობამდი უნდა მოხდეს წინასწარი შეთანხმება ვალებისა და საფრანგეთის მოქალაქეების ზარალის ანაზღაურების შესახებ".

ამერიკა

სხვამაც უნდა წაბაძოს.

ნიუ-იორკი 4 თებერვალი. **„ნიუიორკ ტაიმს" ფიქრობს, რომ ინგლისის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობა დააჩქარებს ამ უკანასკნელის ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერაც.**

ბელგია

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

პარიზი 4 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო **ბელგიის მთავრობა იხილავს საკითხს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გამართვის, მასთან წინასწარი ხელშეკრულების დადების და მისი იურიდიულად ცნობის შესახებ.** ბელგიის მთავრობის აზრით საბჭოთა მთავრობის ცნობას წინ უნდა უძღოდეს საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო ვალდებულებათა მოწესრიგება.

პოლონეთი

აუცილებელია საბჭოთა კავშირის ცნობა.

ვარშავა, 4 თებერვალი. შრომის სამინისტროსთან მოლაპარაკების დროს, მუშების წარმომადგენლები და მრეწველები მოითხოვდნენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან. „კრაკოვსკი კურიერ"-ი აცხადებს, რომ პოლონეთს იხსნის მხოლოდ სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან და კითხულობს, რა ზომების მიღებას აპირებენ მინისტრები, როდესაც აშკარაა მთელი ევროპის მისწრაფება განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ფინეთი

იმედები გაუცრუვდათ.

ჰელსინგფორსი. 4 თებერ. **მემარჯვენე პრესა კვლავ მიუთითებს მთავრობას ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შეყვანის მიღწევის აუცილებლობაზე.**

ფაშისტური გაზეთი „სუუნტა" ცნობის გამო აღნიშნავს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა საინტერვენციო პოლიტიკაში დამარცხების შემდეგ შექმნეს მოსაზღვრე სახელმწიფოების კავშირის სისტემა, რათა დახმარება გაეწიათ საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის პოლონეთის საშუალებით და მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინათ ბალტიის სახელმწიფოების საშუალებით. იურიევის ხელშეკრულება დადებულია დიდი სახელმწიფოების ზეგავლენით, რომლებიც ისახავდნენ ანგარიშის მიზნებს. საბჭოთა კავშირის ცნობით განაპირა სახელმწიფოები მოიპოვებენ უფრო მეტ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

შვეცია

ურთიერთობისათვის.

სტოკჰოლმი. 4 თებერვალი. „სოციალ-დემოკრატენი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შვეციის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნეს და ლაპარაკობს, რომ **საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების გადადება ზიანს აძლევს შვეციას.**

მდგომარეობა გერმანიაში

პოლიციამ გარეკა კომუნისტების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია.

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს სამუშაო დღის გახანგრძლივებაზე.

რეინის ვესტფალიაში გრძელდება მუშების მასიური ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღის შენარჩუნებისათვის.

პოლიცია განაგრძობს კომუნისტების დატუსაღებას.

ბერლინი. 4 თებერვალი. **მაინის ფრანკფურტში კომუნისტური დემონსტრაცია გარეკა პოლიციამ. მოხდა მასიური დატუსაღება.**

ბერლინი. 4 თებერვალი. საარჩევნო კამპანიის დროს ტიურინგიაში, ეიზენახის მახლობლად, რეიხსვერმა დააპატიმრა ბავარიელი კომუნისტი—დეპუტატი ტომასი.

ბერლინი. 4 თებერვალი. ნიურენბერგში სახალხო სასამართლომ სამ კომუნისტს, პროფკავშირების მდივნებს, მიუსაჯა ნახევარი წლის ციხე პლაკატების გავრცელებისათვის.

ბერლინი. 4 თებერვალი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა ერთხმად უარი სთქვეს დღიურად 9 საათის მუშაობაზე სამუშაო ხელფასის გაუდიდებლად.

ბერლინი. 4 თებერვალი. საქსონიის რკინისგზელების უმრავლესობა მიემხრო დაუყოვნებლივ საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებას სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ. დრეზდენის მელითონეები ერთხმად ეწინააღმდეგებიან სამუშაო დღის გაგრძელებას.

ბერლინი. 4 თებერვალი. **რეინის ვესტფალიის მუშების მასიური ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღის შესანარჩუნებლად გრძელდება. მუშები არ დაემორჩილნენ სამედიატორო სასამართლოს და შრომის სამინისტროს დადგენილებას ნახშირის მრეწველობაში 12 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.**

ბერლინი. 4 თებერვალი. ხმების მიხედვით, ლიუდენდორფის თანამშრომლები ამზადებენ გამოსვლას ჰიტლერის პროცესის დაწყებამდი. ერხარდტის ლიუდენდორფის მხარეზე გადასვლაში ხედავენ ახალი გამოსვლის შესაძლებლობას.

ბერლინი. 4 თებერვალი. ზემო სილეზიაში გრძელდება ხის დამმუშავებელთა და მაღაროების მუშების მასიური დათხოვნა; მათი დათხოვნა გამოწვეულია უარის თქმით სამუშაო დღის გადიდებაზე.

შეერთებულ შტატებში

ვილსონის დაკრძალვა.

ბერლინი. 6 თებერვალი. პრეზიდენტმა კულიჯმა 30 დღით ტრაური გამოაცხადა ვილსონის გარდაცვალების გამო ვილსონს დაკრძალავენ ვაშინგტონში.

არაჩვეულებრივი ქარიშხალი.

ბერლინი. 6 თებერვალი. **ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალურ შტატებში მძვინვარებს არაჩვეულებრივი თოვლიანი ქარიშხალი და სეტყვა. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, ქალაქების მთელი რიგი, მათ რიცხვში ჩიკაგოც, მოწყვეტილი არის დანარჩენ მსოფლიოს, სატელეგრაფო და რკინისგზის კავშირის სრულიად შეწყვეტის გამო. დაზარალებულ ქალაქებს კავშირი აქვს სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილთან მხოლოდ რადიოს საშუალებით. ითხოვენ დახმარებას. მრავალი მატარებელი თოვლმა დამარხა.**

სხვადასხვა

ინგლისი

„დიდი ტიტულები".

ლონდონი. 4 თებერ. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მეფემ მოიწონა ინდოეთის საქმეთა მინისტრის—ოლივიერის, საჰაერო ფლოტის—გენერალ ტომპსონის და კოლონიათა მინისტრის ამხანაგის—არნოლდისათვის ბარონის ხარისხის მინიჭება.

უმუშევრობის ზრდა.

ლონდონი. 6 თებერ. უმუშევართა საერთო რიცხვი ინგლისში 28 იანვრისათვის უდრიდა 1,284,700. ერთი კვირის განმავლობაში (21 იანვარს შემდეგ) უმუშევართა რიცხვი 69,000 კაცით გაიზარდა, მაგრამ 201,178 კაცით შემცირდა პირველ იანვრისათვის არსებულ რაოდენობასთან შედარებით.

პოლონეთი

შრომის ხელფასი.

ვარშავა. 4 თებერ. სილეზიის ფაბრიკანტების კავშირმა შეამცირა შრომის ხელფასი 30 პროც.

პოლონეთის პოლიციამ კონფისკაცია უყო მუშათა პრესას, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის ხსოვნისათვის.

ამერიკა.

რევოლუცია გონდურასში.

ბერლინი. 6 თებერვალი. შეერთებული შტატების მთავრობამ გაგზავნა გონდურაში (რესპუბლიკა ამერიკაში) კრეისერი. გონდურასში რევოლიუცია დაიწყო.

საფრანგეთი.

ანატოლ ფრანსის ავადმყოფობა.

პარიზი. 6 თებერვალი. გუშინ ანატოლ ფრანსის ჯანმრთელობა გაუარესდა. გუშინ მას გული წაუვიდა.

საბერძნეთი.

ვენიზელოსის კაბინეტი გადადგა.

რომი. 6 თებერვალი. ათენიდან მიღებული ცნობებით, ფრანგ სპეციალისტ ექიმების კონსულტაციის შემდეგ გამოქვეყნდა ბიულეტენი, რომ ვენიზელოსის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელის, მაგრამ მას ესაჭიროება დასვენება. ამიტომ მან დასტოვა მთავრობის თავმჯდომარეობა. ვენიზელოსის კაბინეტი გადადგა. რეგენტმა წინადადება მისცა კაფანდარისს შეადგინოს მთავრობა.

სამხრეთ-სლავია.

დიდი თოვლი

ბერლინი. 6 თებერვალი. არაჩვეულებრივი თოვლის ზვავების გამო სამხრეთ-სლავიის რკინის გზებზე მიმოსვლა შეწყდა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ელექტრონის სადგურებს რიცხვი საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 6 თებერვალი. **ელექტრო სადგურების მთავარ სამმართველოს ცნობის თანახმად, საბჭოთა კავშირში ამ ჟამად არის 4 897 ელექტრონის სადგური, რომელთა საერთო ძალა უდრის ერთნახევარ მილიონ კილოუატს.** ქალაქებს შორის სადგურების ყველაზე მეტი რიცხვი აქვს ლენინგრადს—225, რომელთა ძალა უდრის 280 000 კილოუატს.

ლენინის ნაწერების პოპულარიზაცია.

მოსკოვი. 6 თებერვალი. აღმოსავლეთის გამომცემლობაში გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელმაც, ლენინის ნაწერების პოპულარიზაციის მიზნით, უნდა გადაამუშაოს ისინი და გამოსცეს თათრულ და უზბეკურ ენებზე.

საერთაშორისო ბაზრობის მოწყობა.

ლენინგრადი. 6 თებერვალი. **სავაჭრო პალატამ შუამდგომლობა აღძრა მოწყობილი იქნეს მიმდინარე წელში ლენინგრადში საერთაშორისო ბაზრობა.**

მუშათა რიცხვის გადიდება ლენინგრადში.

ლენინგრადი. 6 თებერვალი. მიმდინარე წლის დასაწყისში მუშათა რიცხვი ლენინგრადში უდრიდა 127 800 კაცს 107 900 წინააღმდეგ, რომელიც იყო წარსული წლის 1-ლი იანვრისათვის.

უკრაინა

ყოფილ მენშევიკთა სრულიად უკრაინის კონფერენცია.

ხარკოვი. 5 თებერვალი. გაიხსნა ყოფილ მენშევიკთა სრულიად უკრაინის კონფერენცია. კონფერენციამ ლენინის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა რუსეთის-კომპარტიის ცაკას და კომინტერნს. მომხსენებლები ადგილებიდან აღნიშნავდნენ, რომ მენშევიკი-მუშები ჯერ კიდევ 1919 წ. დაშორდნენ პარტიის მაღალ ფენებს და შევიდნენ კომპარტიაში.

ყოფილ მენშევიკთა ეკატერინოსლავის ჯგუფში 167 კაციდან უმრავლესობა ძველი მენშევიკებია. დონის ჯგუფში 140 კაცია, ამათგან 124 მუშაა; ოდესის ჯგუფში 98 კაცია, ამათგან 68 მუშაა ხანგრძლივი პარტიული სტაჟით; კიევის ჯგუფის დიდი უმრავლესობა-მუშებია დიდი სტაჟით; მათ შორის ბევრია პოლიტიკური კატორღელები. ხარკოვის ჯგუფში 60 პროც. მუშებია პარტიის ძველი წევრები. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მოძრაობა პარტიის ლიკვიდაციისათვის აღმოცენდა დამოუკიდებლათ და მას ღრმა ფესვები აქვს გამჯდარი მუშების ფართო მასებში.

მაგნიტის ანომალია ოდესაში.

მოსკოვი. 5 თებერვალი. ოდესაში და შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე აღმოჩენილ იქნა მაგნიტის ძლიერი ანომალია; ამის გამო დაადგინეს დაუყოვნებლივ გამოარკვიონ საბოლოოთ საკითხი რკინის მაღაროების მდებარეობის შესახებ ოდესის რაიონში.

ოდესაში.

მოსკოვი. 6 თებერვალი. [illegible] მცხოვრებთა ყრილობამ გაგზავნა ოდესაში დელეგატები, რომლებიც მოითხოვდნენ ფაბრიკატების უფასოთ სოფელში გაგზავნას კერძო მოვაჭრეების გვერდის ახვევით.

ნავთსადგური და ზღვა 20 ვერსის მანძილზე დაფარულია ყინულით.

ფულის სისტემის რეფორმა

საუბარი ამხ. თუმანოვთან

მოსკოვი. 6 თებერვალი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. თუმანოვმა განაცხადა, რომ საკითხი ჩვენი ფულის სისტემის რეფორმის შესახებ უკვე გადაწყვეტილია საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს ორგანოებში; ამხ. თუმანოვმა განაცხადა აგრეთვე, რომ გამოქვეყნებული დეკრეტი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების გამოშვების შესახებ პირველი ნაბიჯი იქნება ამ რეფორმის განხორციელების გზაზე. **ამ ბილეთების რიცხვი განსაზღვრული იქნება ხმარებაში გამოშვებული ჩერვონცების საერთო თანხის ნახევარით.**

სახაზინო ბილეთები გამოშვებული იქნება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ თანდათანობით, იმისდამიხედვით, თუ რამდენი ბილეთები იქნება საჭირო სავაჭრო ბრუნვისათვის. გამოსაშვებ ხურდა ფულის რაოდენობა შეთანხმებული იქნება სახელმწიფო ფულის ნიშნების დამამზადებელ ექსპედიციის შესაძლებლობასთან, ამ ექსპედიციას ჯერ კიდევ არ შეუძლია დაამზადოს აუცილებელ ვერცხლის და სპილენძის ხურდა ფულის საჭირო რაოდენობა. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ყველა ზომები იმისათვის, რომ გაადიდოს ექსპედიციის ნაყოფიერება; **ამ მიზნით მთელი რიგი ქარხნები მოწყობილია ისე, რომ მათ შეუძლიათ ვერცხლის და სპილენძის ფულის ჩამოსხმა.**

ბრუნვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ განზრახულია გამოშვებული იქნეს დროებითი ქაღალდის ბონები 1—5 ჩერ. კაპ. ღირებულებისა, ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება მოახდინოს მათი გადახურდავება ლითონის მანეთზე მიმდინარე წლის განმავლობაში.

უცხოეთის აზრი ამხ. რიკოვის შესახებ

საფრანგეთი

პარიზი. 4 თებერვალი. „პტი პარიზიენ“-ი სწერს, რომ რიკოვის დანიშვნა მოწმობს ლენინის პოლიტიკური ხაზის შენარჩუნებას, რომელიც მიმართული იყო მუდამ დასავლეთ-ევროპასთან ეკონომიური დაახლოებისაკენ.

შვეცია

სტოკჰოლმი. 4 თებერვალი. შვეციის პრესა ათავსებს რა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობას, ბეჭდავს რიკოვის ბიოგრაფიას და სურათს.

„პოლიტიკენი“ სწერს, რომ გაჭირვების წლებში რიკოვმა დაიმსახურა ჭკვიანი, ფრთხილი, დახელოვნებული და ერთგული რევოლიუციონერის სახელი.

გერმანია.

ბერლინი. 4 თებ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ რიკოვის ერთხმად არჩევა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა მთავრობას მოეპოვება ნიჭიერი ხელმძღვანელების საკმაო რაოდენობა.

„ფორვერტს“-ი ახასიათებს რიკოვს, როგორც განსაკუთრებულ სპეციალისტს და ჭკვიან ადამიანს და აღნიშნავს, რომ რიკოვის დანიშვნა ნიშნავს წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის გაგრძელებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის

საკავშირო თათბირი

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

მოსკოვი. 6 თებ. გაიხსნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სრულიად საკავშირო თათბირი, რომელზედაც ამხ. კუიბიშევმა მოხსენება გააკეთა მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **ამხ. ლენინის წერილები მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თვითეულ მუშაკის მიერ.** აუცილებელია მივმართოთ ამხ. კრუპსკაიას თხოვნით დახმარება გაუწიოს მ. გ. ი. და ც. ს კ. მათ მუშაობაში, რადგან მან სხვაზე უკეთ იცის ამხ. ლენინის აზრები წერილების წერის დროს და მათი გამოქვეყნების შემდეგ.

ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა მეფის მემკვიდრეობისაგან — ბიუროკრატიზმისა, საქმის გაჭიანურებისა და თვითნებობისაგან; მასში ჯერ კიდევ არის გულგრილი დამოკიდებულება მუშების და გლეხების მოთხოვნილებებისადმი; ადგილი აქვს აგრეთვე ბოროტმოქმედებასაც. ყველა ეს დეფექტები შეუძლებელია გამოსწორებულ იქნეს ერთბაშად, რადგან სახელმწიფო აპარატის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებისაკენ მიმართული ცდები მიგვიყვანენ ჩვენ იქამდის, რომ სახელმწიფო აპარატი აშენებული იქნება იმავე ადამიანთა მასალისაგან. ამხ. ლენინიც ყოველისმხრივ გვაფრთხილებდა ჩვენ არ აჩქარებულიყავით ამ საქმეში, არ გამოგვეჩინა ზედმეტი რეორგანიზაციული ალტკინები. საჭიროა წლები, რომ გადავლახოთ ყველა ეს აუცილებელი სიძნელენი. მაგრამ, სიძნელენი არ უნდა იყვნენ გასამართლებელი საბუთი უმოქმედობისა და მუშაობის შენელებისათვის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ძირითადი ამოცანაა — განმტკიცებულ იქნეს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ გადაწყვეტილი. ჯერ-ჯერობით შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაზე მისი შესრულებისათვის. სამაგალითო სახალხო კომისარიატი მ. გ. ი. სახით, რომელზედაც სწერდა ამხ. ლენინი, ჯერ კიდევ არ არის. სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის განახლებული. მაგრამ მ. გ. ი. აპარატი შესამჩნევად შემცირდა — 1300 კაციდან ის დაყვანილია 659 კაცამდე. ეს შემცირება არ არის საკმარისი და აპარატი კიდევ უფრო უნდა შემცირდეს შემდეგში. მ. გ. ი. და ც. ს. კ. მორიგი პრაქტიკული ამოცანაა — გამორკვეული იქნეს ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოების ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაკლი და დეფექტები.

კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო.

ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს ამხ. კისელიოვმა აღნიშნა, მ. გ. ი. ადგილობრივ ორგანოების სუსტი მუშაობა „მაკრატლის“ პირების დაახლოვების საკითხში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოების კავშირი პარტორგანიზაციებთან და პროფკავშირებთან სუსტია.

ამხ. როზმიროვიჩმა — ც. ს. კ. და მ. გ. ი. კოლეგიის წევრი — აღნიშნა, რომ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მივმართოთ კომპარტიას და დაზგის მუშებს და მოვიწვიოთ ისინი იმისთვის, რომ გარდაქმნან სახელმწიფო აპარატი სოციალისტურ საფუძვლებზე.

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ პარტიაში დაზგის მუშების დიდი რაოდენობის მოწვევა აიძულებს ც. ს. კ. შესცვალოს მუშაობის გეგმა.

თუ პარტია, გაჯანსაღების მიზნით, შეიყვანს პარტიაში 100 000 მუშას, მაშინ ც. ს. კ., იმავე გაჯანსაღების მიზნით, იძულებული იქნება გამორიცხოს პარტიიდან 50 000 შემთხვევით მიკედლებული წევრი.

მ. გ. ი. და ც. ს. კ. მუშაობის გეგმას საფუძვლად უდევს ამხ. ლენინის აზრი პროლეტარიატის გლეხობასთან დაკავშირების შესახებ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უკვე მიაღწია ზოგიერთ დადებით შედეგებს: მოსპო ძველი აპარატის სიმშრალე და უმოქმედობა, გაადიდა კომუნისტების რიცხვი აპარატში და შექმნა პირობები მ. გ. ი. ახალ მუშაკების მოსამზადებლად, სათანადო სექციის დაარსების საშუალებით სვერდლოვის უნივერსიტეტთან. მ. გ. ი. და ც. ს. კ. თავისი ჩარევით მოსპო ნაკლი და დეფექტები პურის საექსპორტო კამპანიაში და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმეში. მ. გ. ი. ჩარევის წყალობით, ხარკის გადამხდელთა 17 პროც. უმთავრესათ ღარიბი გლეხები — განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან.

მომავალი მუშაობის გეგმა.

მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ავანესოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წინანდელ გეგმას ჰქონდა გაურკვეველი ამოცანები და სისწორით ვერ აღნიშნავდა, რა იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის და შესწავლის საგანი. ახალი გეგმა ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. უძნელესი ამოცანა, რომელიც სდგას მ. გ. ი. წინაშე, — ეს არის კავშირის დამყარება მუშებსა და გლეხებს შორის სახელმწიფო აპარატის გაიაფებისა და მისი მასებთან დაახლოვების საშუალებით. გეგმას საფუძვლათ უდევს რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციის მიერ დამტკიცებული საკითხები სამეურნეო აღმშენებლობის შესახებ.

შემუშავებული გეგმა უნდა წარედგინოს დასამტკიცებლათ სახალხო კომისართა საბჭოს; ეს გეგმა წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს „ხოზიაისტვენიკების“ და სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს აზრთან.

თათბირმა ერთხმად დაადგინა აირჩიოს პრეზიდიუმის საპატიო წევრათ ამხ. კრუპსკაია, რომელიც კარგათ იცნობს ამხ. ლენინის აზრებს მ. გ. ი. და ც. ს. კ. მუშაობის შესახებ და სთხოვოს მას მონაწილეობა მიიღოს იმ მუშაობაში, რომელიც მიმართულია სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისაკენ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო გამოძახილი

რუსეთში

აღმოსავლეთის ჩაგრული ერების წარმომადგენლების კრება.

მოსკოვი. 6 თებერვალი. **აღმოსავლეთის ჩაგრულ ერების წარმომადგენელთა საერთო კრებამ, აღნიშნა რა ღრმა მწუხარებით უდიდესი წინამძღოლის, მასწავლებლის და აღმოსავლეთის ჩაგრულ ერების მეგობრის ლენინის ხსოვნა — დაადგინა დაუღალავათ იმუშაონ და იბრძოლონ ლენინიზმის იდეებისთვის, გაავრცელონ ისინი აღმოსავლეთის ყველა ერებში და კომპარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიონ ილიჩის საბოლოო მიზანს — ჩაგრული ერების განთავისუფლებას იმპერიალიზმის უღლისაგან.**

ლენინი მოკვდა, მაგრამ ცოცხალია ლენინიზმი — უტყუარი იარაღი ჩაგრული კაცობრიობის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

ფონდი.

ლენინგრადი. 6 თებერვალი. **საფეიქრო ტრესტმა გადასდო 100000 ოქრ. მანეთი ამხ. ლენინის ფონდში.** ფაბრიკა „კრასნი ტკაჩში“ ეწყობა მუშათა მოსახლეობა, რომლის შესანახად საფეიქრო ტრესტი ათი წლის განმავლობაში გადასდებს წმინდა მოგებიდან ოც-ოც პროცენტს. ტრესტმა გადასდო 30 000 ოქრო მანეთამდე უპატრონო ბავშვებისათვის სახლის მოსაწყობად და 15.000 მანეთი ლენინის სახელობის სახლის ასაშენებლად, აქედან 5 000 მან. გადადებულია სპეციალურად ლენინის თხზულებათა კრებულის შესაძენად ყველა ფაბრიკებისათვის.

ჩინეთი.

მასიური მიტინგი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

პეკინი. 5 თებერვ. გაიმართა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მასიური მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კარახანი, რომელსაც მქუხარე ტაშისცემით შეხვდნენ. ტაშისცემით შეხვდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცნობას ინგლისის მიერ. კარახანმა აღნიშნა, რომ ლენინის საქმე არ მოკვდება. მისი მოწაფეები ფიცს სდებენ გაჰყვნენ მის მოძღვრებას. „დეე, პეკინის მთავრობა ნუ იცნობს საბჭოთა კავშირს, ჩინეთის ხალხმა უკვე დიდიხანია იცნო საბჭოთა კავშირი“, განაცხადა კარახანმა.

მიტინგის დაწყებამდე დამსწრეებმა სამჯერ დაიჩოქეს ლენინის სურათის წინაშე.

ინდოეთი

განსაკუთრებული პატივისცემა.

ქაბული. 5 თებერვალი. **ინდოეთის ნაციონალური პრესა განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს ლენინს.**

ოსმალეთი

ლენინის მუშაობის შედეგი.

ანგორა. 5 თებერვალი. „ჰაკიმიეთ“ აღნიშნავს, რომ ლენინის მუშაობის წყალობით საბოლოოდ აღმოფხვრილია ცარიზმი და შეირყა სახელმწიფო წესწყობილების საფუძვლები ევროპაც და ამერიკაში.

ლენინის გზით.

ანგორა. 5 თებერვალი. „ენი გიუნ“-ი სწერს: „ლენინმა დაამყარა რუსეთის პოლიტიკაში გულწრფელი მეგობრული განწყობილება ოსმალეთის მიმართ. ოსმალეთი დარწმუნებულია, რომ ლენინის გარდაცვალებით არ შეიცვლება საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო პოლიტიკა“.

ამერიკა

„წესრიგის დარღვევა.“

ნიუ-იორკი. 5 თებერვალი. **პოლიციამ გარეკა ლენინის ხსოვნის საპატივცემლოდ გამართული მიტინგი.** ნიუ ჯერსეის შტატში დააპატიმრა ნიუ-იორკის „ფოლკსცაიტუნგ“-ის რედაქტორი და რამდენიმე სხვა პირი „წესრიგის დარღვევისათვის“.

სამგლოვიარო დეპეშები.

მოსკოვი. 5 თებერვალი. საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო სამგლოვიარო დეპეშები ლენინის გარდაცვალების გამო ავღანისტანის ვაჭრებისა და ინდო-ევროპის სატელეგრაფო საზოგადოებისაგან.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობამ იტალიაში მიიღო სამგლოვიარო წერილები ლენინის გარდაცვალების გამო სხვადასხვა ორგანიზაციების, იტალიის კომპარტიის და სოციალისტურ პარტიებისაგან.

გერმანია.

ლენინი და ვილსონი.

ბერლინი. 4 თებერვალი. გერმანიის პრესა, ვილსონის გარდაცვალების გამო, აღნიშნავს, რომ გერმანიამ ვილსონის პაციფიზმისა და მისი ცნობილი 14 პუნქტის ნდობის გამო, დაყარა იარაღი. **მაგრამ ვილსონმა მოატყუა გერმანია. ადარებენ რა ლენინს ვილსონთან, გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლენინი, უპირველეს ყოვლისა, იყო საქმის კაცი, რომელიც თანდათანობით, ატარებდა ცხოვრებაში თავის პრინციპებს. ვილსონი კი იყო მოლაყბე, რომლის ღვიძლ შვილად არ ცნობს თვით ამერიკა.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი.

ნავთსადგურში.

ბათომი. 5 თებერვალი. ფოთიდან მოვიდა გემი „იგნატი სერგეევი“. წავიდა ტრესტში იტალიის გემი „კარინტია“ 50 ტონა სხვადასხვა ტვირთით.

„წითელი ბათომი“.

ბათომი. 5 თებერვალი. ახლო მომავალში ნავთსადგურის სახელოსნოებში შეუდგებიან კატერის „წითელი ბათომი“-ს კაპიტალურ რემონტს.

შავი ყვავილი.

ბათომი. 5 თებერვალი. შავი ყვავილის გავრცელების გამო ოსმალეთის განაპირა ადგილებში, კარანტინის მთავარმა ექიმმა ბრძანება გასცა აუცილებელი აცრის შესახებ. ყვავილის აცრა უკვე დაიწყო უფასოდ.

აჭარა.

ქარიშხალი.

ბათომი. 6 თებერვალი. 4 თებერვალს საღამოს ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი 10 ბალით. ქარიშხალი მთელი ღამე მძვინვარებდა. ტემპერატურა ნულზე ქვევით დაეცა. ნაპირზე მდგომი გემები გავიდნენ რეიდში, სტამბოლში გამგზავრებული გემი „ლიუსი“ დაღუპვის შიშის გამო ნავთსადგურში დაბრუნდა. ღამით ქალაქის მიდამოებში მოვიდა თოვლი 2 ვერშოკის სიმაღლით. დღეს ქარიშხალი სუსტდება, ბარომეტრი მაღლა იწევს.

აზერბეიჯანი

შავი ჭირი.

ბაქო. 5 თებერვალი. ასტრახანში აღმოაჩინეს შავი ჭირი, რომლის გავრცელება მოსალოდნელია. ამის გამო ბაქოს ალმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა ჯანმრთელობის განყოფილებას შეიმუშაოს და მიიღოს სათანადო ზომები მასთან საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

ლენინის ძეგლი.

ბაქო. 5 თებ. განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოჰყოს კავშირის თანხებიდან 30 ჩერვონეცი ლენინის ძეგლის ასაგებ ფონდისათვის.

ბრძოლა უმუშევრობასთან.

ბაქო. 5 თებერ. ბაქოში უმუშევრობის გაძლიერების გამო, ბაქოს საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა აღძრეს საკითხი ბაქოს საბჭოსთან შრომის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გახსნის შესახებ.

კერძოდ დასმულია საკითხი უმუშევრებისათვის დახმარების გაფართოების შესახებ.

26-ის ძეგლი.

ბაქო. 5 თებ. ბაქოს საბჭომ დასდო ხელშეკრულება ხატვარ იაკულოვთან 26-ის ძეგლის აგების პროექტის შემუშავების შესახებ; იაკულოვის მიერ წარმოდგენილი საერთო ხასიათის ესკიზი მოწონებულია.

სომხეთი

სტატისტიკა.

ერევანი. 5 თებერვალი. მცხოვრებნი იჩენენ დიდ ინტერესს სტატისტიკურ მუშაობისადმი ბამბის მოყვანის აღსარიცხავად. ბამბის მეურნეობის მთავარ ცენტრებში ჩატარებულია სათანადო კამპანიები. მეურნეობათა მიერ მოცემული ცნობის დიდი უმრავლესობა სწორია, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მოხდა მიწის გადამიჯვნა და არსებობენ მიწის რეესტრები.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავისთვის

ხუთშაბათს, 7 თებერვალს; დღის 1 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში **მოწვეულია ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო ფართო კოლეგიის სხდომა.**

დღის წესრიგი.

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავი.

სხდომაზე უნდა გამოცხადდენ პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს, პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების, ტფილისის კომიტეტის, ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას, კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების და ცეკას ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე.

მანგლისი

მანგლისის რაიონში კომუჯრედები არსებობენ მხოლოდ ხუთ სოფელში: მანგლისი — 8 წევრი და 3 კანდიდატი, პოლილენია — 3 წევრი და 4 კანდიდატი, პატარა თონეთი — 6 წევრი და 2 კანდიდატი, დიდი თონეთი — 4 წევრი, პრიუტის 3 წევრი და 2 კანდიდატი. სულ 24 წევრი და 11 კანდიდატი.

უნდა ითქვას მართალი, რომ ამ 24 წევრში 10 ამხანაგი არიან ტფილისიდან ჩამოსულნი, აქედან ცხადია, რომ სოფლებში მუშაობა მოისუსტებს.

დიდ თონეთში, როდესაც ვატარებდი 9 იანვრის დღეს „სისხლის კვირას“ და შევეხე მღვდელ გაპონის გამცემლობას, ხალხი გაოცებაში იყო და არ იცოდა, თუ ვინ იყო გაპონი. მოხსენების დამთავრების შემდეგ მოხუცი გლეხი მომმართა: ჩვენ ბნელები ვართ, არა გვესმის რა [illegible] შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს გარეთ, მოდით აგვიხსენით მდგომარეობა, სარწმუნოების მსახურთა მატყუარობა და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ „ჯერ მღვდელს გადავაგდებ ხრამში და მერმედ კი ეკლესიას“.

ადგილობრივი რაიპარტკომის და კომკავშირის რაიკომების მოვალეობაა ჩაატარონ სოფლებში მოხსენებები, სხვადასხვა თემებზედ, რომ გლეხობა შეგნებულად დადგეს ჩვენ მხარეზე.

ვ. ა.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ყოველ კუთხიდან.

ხარკოვი. 6 თებერვალი. **წითელდროშოვან თამბაქოს ფაბრიკაში ლენინის დაკრძალვიდან დაბრუნებულ დელეგატის მოხსენების შემდეგ 26 მუშამ შეიტანა განცხადება რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ.** ელექტრონის სადგურზე ასეთივე განცხადება შეიტანა 65 მუშამ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 6 თებერვალი. **ბრიანსკის ქარხანაში 726 დაზგასთან მომუშავემ შეიტანეს განცხადება რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ.**

ბახმუტი. 6 თებერვალი. ბახმუტის ლუგანის და იუზოვის ოლქებში 4,000-ზე **მეტმა მუშამ შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.** მთელ დონის ოლქში წარდგენილია 1.400 განცხადებაზე მეტი ახკომკავშირში შესვლის შესახებ.

ეკატერინოსლავი 6 თებერვალი. **4 თებერვალს პარტიაში ჩაეწერა 800 მუშა. ზოგიერთი ქარხნები კოლექტიურად შევიდნენ პარტიაში.**

ჩერნიგოვი. 6 თებერ. **კონტოპში ჩაეწერა პარტიაში 100 მუშა. ნეჟინში — 50.**

ნიკოლაევსკი. 6 თებერვალი. **მუშების ლტოლვა პარტიისაკენ ძლიერდება. ვადინის ქარხანაში 250 მუშამ შეიტანა კოლექტიური განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.**

ლენინგრადი. 6 თებერვალი. აუარებელი განცხადებები შემოდის კომპარტიაში მიღების შესახებ. უკანასკნელ დღეებში შეტანილია 12,000 ასეთი განცხადება.

ბახმუტში.

სვერდლოვის მარილის სამრეწველოებში პარტიაში ჩაეწერა 57 მუშა.

კრასნოდარში.

80 მილიციონერმა შეიტანა კოლექტიური განცხადება რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ.

დონის როსტოვში.

ნიკოლაევის სათემო კომიტეტში შეტანილია მიწის მუშების 30-ზე მეტი განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

ვიატკაში.

გლეხობის შორის მაზრებში დიდი ლტოლვაა პარტიისაკენ. ნოლინის სამაზრო კომიტეტს მიმართა განცხადებით პარტიაში მიღების შესახებ 60 წლის მოხუცმა გლეხმა, რომელთანაც ლენინი რჩებოდა ციმბირში გადასახლების დროს.

დონის ოლქში.

იუზოვის ოლქში ხელახლა შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ 475 მუშამ, ლუგანის ოლქში — 482 მუშამ, იუზოვის ქარხანაში 80 მოზარდმა მუშამ შეიტანა განცხადება ახკომკავშირში შესვლის შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(7 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	1.780.000 ათ
[illegible] სტერლინგ. ეფექტ.	1 665 000
ჩეკები	—1.615.000
დოლარი ეფექტ.	—393 ნახ.—
ჩეკები	— 370 000—
ოსმალ. ქაღ. ლირა	—240. ნახ.
იტალიური ლირა	—16 ნახ.
ფრანგული ფრანკი	—17 ნახ.
საბჭ. ფულის ნიშნები	—16 ნახ.

მოსკოვის ფასები.

(6 თებერვალი)

პური 1 ხარ 10,000, პური 2 ხ. 8000, ძროხის ხორცი — 36000 ათ. ღორის ხორცი — 35000 ათ. შაქარი რაფინადი 76 050 ათ. ფხვნილი შაქარი — 49,000 ათასი, კარტოფილი — 8000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(6 თებერვალი)

პური 1 ხ. — 15000 ათ., პური 2 ხარ. — 12000, ძროხის ხორცი 50000 ათ. ღორის ხორცი 50000 ათ., შაქარი რაფინ. 78000 ათ., შაქარი ფხვნილი 50,000 ათ., კარტოფილი 5000 ათ.

ბირჟის მიწოდება

ბამბის თილი, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი, ფრიზონი, სახურავი რკინა (ინგლ.) თხილი ზაქათალის, „ურალმეტ“-ის პროდუქცია (სასოფლო სამეურნეო იარაღი, ნაჯახები, ბარები, მილები მავთული, რელსები და სხვ.), ნედლი აბრეშუმი, ნაწლევები, ცინკი, უმარილი, როსტოვის პაპიროსები, სპილენძი ფურცლოვანი, საშენებლო ფურსმნები, ლედები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარული ყველი, ჭურჭელი ცინკის, ქინური ნაწარმოები, ფანჯრის შუშები, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. სახ. მეურ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.). (ცემენტი და

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

(დასასრული *)

ინგლისის დღევანდელი მუშათა მთავრობის დახასიათებას ჩვენ ამ წერილში არ ვეხებით; ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესი საკითხი: რამ გამოიწვია ინგლისის მხრით სეპერატიულ გზაზე დადგომა და საბჭოთა რუსეთის ცნობა?

ამის ერთი მთავარი მიზეზი აუცილებლად **საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ სიმტკიცეში და ეკონომიურ აღორძინების გზაზე დადგომაში მარხია.** კაპიტალისტური ევროპა ფიქრობდა, რომ ბოლშევიზმი დაეცემოდა თავისივე ექსპერიმენტების სიმძიმის ქვეშ; ფაქტიურად ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და მიზანშეწონილმა გეგმებმა სამეურნეო ცხოვრებაში სამოქალაქო ომის დროს სიკვდილის პირზე მისული მხარე წარმატების ლიანდაგზე შეაყენა და ნელ-ნელა, მაგრამ საგრძნობი ნაბიჯით მიექანება იგი აღორძინებისაკენ. პროლეტარიატის რკინის ხელებმა, მიუხედავად საგრძნობი ეკონომიური ბლოკადისა, მაინც შესძლო თავისი საკუთარი რესურსებითა და კაპიტალით ქვეყნის წარმატებაზე ზრუნვა. უკანასკნელი ცნობებით, დათესილ მინდვრების სივრცემ მიაღწია 75 პროც. 1917 წელთან შედარებით. მრეწველობაში საერთოდ მიღწეულია 36 პროც. ომამდე არსებულ პროდუქციის. მრეწველობის საერთო პროდუქცია დაფასებული იყო 1921 წ. — 1,100,000 მან., 1922 წ — 1 მილ. 900 ათას; ხოლო 1923 წ. — 2,400,000. საგრძნობლად გაუმჯობესდა ტრანსპორტის საქმე და მუშათა მდგომარეობა. საგარეო ვაჭრობაც განვითარდა. ძლეული იქნა წინა წლებში გამძვინვარებული ნედლი მასალის, სურსათ სანოვაგისა და ტრანსპორტის კრიზისები. ეს ფაქტები ნათლად ღაღადებენ იმას, რომ კაპიტალისტური ევროპის იმედი არ გამართლდა და საბჭოთა კავშირი არ მოკვდა თავისი პოლიტიკის სიმძიმის ქვეშ. მას ვერ აჯნო ვერც ეკონომიურ ბლოკადამ. წინააღმდეგ, ნიტტის მოსაზრებით: „**რუსეთის ბლოკადა, მავთულების ხლართები, რომელიც შემოავლეს რუსეთის ირგვლივ, უფრო საზარალო შეიქმნა მთელი ევროპისთვის; ეს იყო ბლოკადა თვით მოკავშირეთათვის**“. (ნიტტის წიგნი — 220).

პოლიტიკურად საბჭოთა კავშირმა უდიდეს გამარჯვებას მიაღწია: მან გაანადგურა შინაური ანტი-საბჭოთა ძალები და მტკიცე სახელმწიფოებრივი აპარატი შექმნა თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად. იგი ფაქტიურად გადაიქცა ერთად ერთ რეალურ ძალად მთელს საბჭოთა ფედერაციაში, რომლის შეცვლა და კონკურენციის გაწევა არ შეუძლია არც ერთ სხვა ძალას, თუ კი ასეთი რამ სადმე არსებობს. მეორე მხრით, საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ ცენტრალურ ფაქტორად გადაიქცა, რომლის ანგარიშის არ გაწევა და განზე დატოვება შეუძლებელი ხდება ფაქტიურად.

ეს გარემოება გარკვევით დაინახეს ინგლისის პრაქტიკულად მოაზროვნე კაპიტალისტური ტრესტებისა და სინდიკატების იდეოლოგებმა და დიდი ხნის ყოყმანის და მიხვეულ-მოხვეულ პოლიტიკის შემდეგ პირდაპირი ნაბიჯი გადასდგეს მათი აგენტების — მუშათა პარტიის ბელადების დახმარებით — საბჭოთა კავშირთან მტკიცე ურთიერთობის გასაბმელად.

მეორე მთავარი მიზეზი ინგლისის მხრით საბჭ. კავშირის ცნობის საკითხში აუცილებლად მდგომარეობს **თვით ინგლისის ეკონომიურ და პოლიტიკურ გასაჭირში, მისი მსოფლიო ჰეგემონიის მსოფლიოსავე მასშტაბით დეკადანსის გზაზე დადგომაში.**

მსოფლიო ომის წიაღიდან მთლიანად აღებული კაპიტალისტური ევროპა ეკონომიურად დაცემული და დაშლილი გამოვიდა. ომმა დაარღვია მსოფლიო მეურნეობის ორგანიზმი და დაარღვია სხვადასხვა სამეურნეო ერთეულთა შორის არსებული ურთიერთობა და სწორწონაობა.

მსოფლიო მეურნეობის კრიზისს ყველაზე უფრო საგრძნობლად განიცდის ინგლისი, რადგან იგი მრავალ მნიშვნელოვანი რგოლებით არის გადაბმული მთელს მსოფლიოსთან: ინგლისი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ინდუსტრიალური ქვეყანა მოკლებული აგრარულს საფუძვლებს. ინდუსტრია შეადგენს ინგლისის მთავარ საცხოვრებელ წყაროს: ამ სამეურნეო ცხოვრების დარგების ნაყოფს ასაღებს იგი მსოფლიო ბაზარზე და იქვე იძენს მისთვის საჭირო ნედლ მასალას და სურსათ სანოვაგეს. ამგვარად ექსპორტი და იმპორტი ინგლისის ეკონომიკის მთავარ სასიცოცხლო არტერიებს წარმოადგენენ. როდესაც საერთაშორისო ბაზარი, უკეთ მსოფლიო მეურნეობა დაშლილია და კრიზისს განიცდის, ცხადია მაშინ ეს საარსებო არტერიები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას შესაფერისად და თვით ორგანიზმი — ინგლისის კაპიტალისტური სხეული საგრძნობ კრიზისსა და დასუსტებას განიცდის. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ინგლისის კაპიტალისტების მთავარ ამოცანას შეადგენს ზრუნვა მსოფლიო მეურნეობის აღდგენისა და სწორწონაობის დაცვის შესახებ.

ჩვენ არ შეუდგებით აქ იმის მტკიცებას, თუ რამდენად დაშლილია მსოფლიო მეურნეობის საფუძვლები; აღვნიშნავთ მხოლოდ ერთობ სქემატიურად იმ ფაქტს, თუ რამდენად იმოქმედა მსოფლიო მეურნეობის დაშლამ ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც სტანჯავს ინგლისის მრეწველობას — ეს არის **უმუშევრობა**, რომელიც ყოფნა არ ყოფნის საკითხად გადაიქცა პოლიტიკურ ფონზე გამოსულ ყველა ძალებისათვის. უმუშევართა რაოდენობა რამდენადმე გამოხატავს თვით მრეწველობის მდგომარეობასაც.

უმუშევართა რაოდენობას ინგლისში ჩვენ დავინახავთ შემდეგი სტატისტიკური ცნობებიდან. 1913 წ. საშუალოდ უმუშევართა რიცხვი (პროცენტების) შედარებით პროფკავშირის წევრებთან შეადგენდა 2,1 პროც. 1922 წელს მიაღწია, 15,4 პროცენტამდე. 1913 წ. უმუშევართა რიცხვი შეადგენდა — 966 ათასს, 1921 წ. იგი უდრის 1430 ათასს.

1922 წლის მეორე ნახევარში სრულ უმუშევართა რიცხვი შეადგენდა ინგლისში (ტრედ-უნიონების წევრების პროცენტებით).

1922 წელი.	სამშენებლო ქარხნებში.	ქვანახშირის მრეწველობაში.	მანქანებისა და გემთა მშენებლ.	ლითონის გადამამუშავებელ მრეწველობაში.	ბამბეულის ქსოვილის მრეწველობაში.
ივლისი	6,9	13,2	28,0	12,2	8,1
აგვისტო	6,9	9,9	27,5	12,1	4,3
სექტემბერი	6,9	9,4	27,8	12,5	4,6
ოქტომბერი	7,3	9,4	27,6	12,0	5,8
ნოემბერი	7,5	8,8	27,3	11,4	6,1

უმუშევართა ეს პროცენტები მრეწველობის სხვადასხვა დარგებში გამოხატავენ ინგლისის მეურნეობის მაჯისცემას. 1921 წ. მემაღაროელთა გაფიცვისა და მრეწველობის დაცემის გამო მთელ რიგ ინდუსტრიის დარგებში უმუშევრობამ მიაღწია 22—23 პროც. (2,2 მილიონს) მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულები ამ რიცხვში არ შესულა. (იხ. Кулишер: „Обзор мирового хозяйства“ გვ. 75—76).

ასეთი მომავლის პერსპექტივების წინაშე კვლავ დადგება ინგლისი, თუ მან არ გამონახა საშუალებანი თავისი სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მსოფლიო ბაზარზე კვლავ თავისი უპირატესობის მოსაპოვებლად უმუშევართა საკითხი უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვად გადაიქცა ინგლისისთვის და ეს „წყეული კითხვა“ მის პოლიტიკურ ცხოვრების მძიმე ტვირთად აწვება. მოშორება ამ ტვირთის ინგლისის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს.

გადავიდეთ ახლა ინგლისის საგარეო ვაჭრობის დახასიათებაზე.

მთლიანად აღებული მთელს მსოფლიოში საგარეო ვაჭრობა საგრძნობლად შემცირდა ომის წინა დროსთან შედარებით. თუ ავიღებთ, რასაკვირველია, ომის წინადროის ფასებს ინგლისისათვის ეს შემცირება მეტად საგრძნობი შეიქმნა: შემდეგი ცხრილი ნათელსყოფს ამას.

ინგლისის საგარეო ვაჭრობა 1913—21 წლებში.

	1913	1920	1921 წ.
	(ათას გირვანქით).		
იმპორ. საერთო თანხა	758.735	679 274	570.012
რეექსპორ.	109 567	98 909	85 612
ექსპორტი	525 254	872.474	261.647

ამგვარად იმპორტი 1913 წელთან შედარებით 1921 წ. შეადგენდა 74,3 პროც. ექსპორტი კი — 49,8 პროც. 1922 წელს რამოდენიმეთ დაეტყო გამოცოცხლება: ექსპორტმა მიაღწია 2 მესამედით ომის წინადროსთან შედარებით (1913 წ.), ხოლო იმპორტმა თითქმის 85 პროც.

ინგლისის საგარეო ვაჭრობის უმთავრეს ცენტრებს წარმოადგენდენ: თავისი საკუთარი კოლონიები, ცენტრალური ევროპა, რუსეთი, ამერიკის ქვეყნები.

კოლონიებს ინგლისის საერთო იმპორტში ეკუთვნოდათ 31,7 პროც. 1922 წ; ხოლო ექსპორტის საქმეში 34,5.—1923 წ. ამგვარად ინგლისის საგარეო ვაჭრობის მთავარი ძარღვები თავმოყრილია მის კოლონიების გარეშე და სხ. სამეურნეო ცენტრები შეადგენენ და შეადგენდენ მისი ვაჭრობის ობიექტს. კოლონიების საკითხის აღნიშვნის დროს უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კოლონიები (ინდოეთი, კანადა, ავსტრალია) ეკონომიურად მოღონიერდნენ ომის განმავლობაში და თავიანთი ინდუსტრია განავითარეს. ამ გარემოებამ გამოიწვია სავაჭრო ურთიერთობის შემცირება ამ რაიონებთან. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციაზე ლოიდ გრიმმა მოიყვანა შემდეგი სტატისტიკური ცნობები ინგლისის მონაწილეობის შესახებ კოლონიების შეტანის საქმეში:

	1875	1900	1913	1918-20
	(პროცენტებით)			
ინდოეთი	77	65	65	47
კანადა	49	34	20	12
ავსტრალია.	73	61	52	39
ახ. ზელანდია	64	61	60	48
სამხ. აფრიკა	83	63	56	56

(იხ. „Правда“ № 267, 1923 წ.).

ამგვარად ინგლისის ექსპორტი ამ კოლონიებში კატასტროფიულად ეცემა, სამაგიეროთ კოლონიების ექსპორტი ინგლისში ფართოვდება. ინგლისი იძულებული ხდება ისარგებლოს ამ კოლონიების სურსათითა და ნედლი მასალით, მაგრამ შევიწროებულია გაასაღოს მათ ბაზარზე თავისი ინდუსტრიის პროდუქტები. ეს არის საგრძნობი შემაფერხებელი ფაქტორი ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარების საქმეში.

ცენტრალური ევროპა დღეს ფაქტიურად დაშლილია ეკონომიურად და იქ უდიდესი ქაოსი მეფობს ვერსალის საზავო კონფერენციის დადგენილებისა და პუანკარეს პოლიტიკის წყალობით. გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის ფინანსები დღეს კატასტროფიულად ეცემა და ამ დაცემას ხელს უწყობენ საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები, რომელთაც სურთ არა მარტო ეკონომიურად, არამედ ფიზიკურადაც დაამძლურონ გერმანია. გერმანია ინგლისის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა და დღეს ეს ვაჭრობა საგრძნობლად შემცირდა.

ასე, მაგ. 1913 წ. ინგლისის საერთო იმპორტი უდრიდა 760, 736 ათასი გირვანქა სტერლინგს, აქედან გერმანიის წილს შეადგენდა 80 411 ათასი გირვანქა სტერლინგის საქონელი. 1921 წ. — საერთო იმპორტი — 580.012 ათასი; გერმანიის — 20.530 ათასი. ინგლისის ექსპორტი შეადგენდა გერმანიაში 1913 წ. 40667 ათასს; 1921 წ. — 17832 ათასი.

1923 წელში რურის ქვანახშირის ოკუპაციის წყალობით ინგლისის ექსპორტი რამოდენიმედ გაიზარდა გერმანიაში, მაგრამ დროებით: პუანკარემ გერმანიას ხელიდან გამოაცალა მისი მრეწველობის მთავარი ფაქტორები — რკინისა და ნახშირის მომცემი რაიონები და თითქმის ცარიელ რეიყზე დასტოვა გერმანიის მრეწველობა. ამ გარემოებამ უფრო დასცა, გაანადგურა და დაშალა ისედაც დარღვეული მეურნეობა და შეამცირა მისი ვაჭრობის უნარიანობა: ის ფინანსიური ვაკხანალია და ეკონომიური ქაოსი, რომელიც გამეფებული არის დღეს კ. კაუცკის სამშობლოში, ყოველგვარ საშუალებას უსპობს მას გამოვიდეს რაიმე მნიშვნელოვან ფაქტორად საგარეო ვაჭრობის სფეროში. სწორედ პუანკარეს ასეთმა პოლიტიკამ გააბრაზა ინგლისის პოლიტიკოსები, რომლებმაც იმპერიალისტურ საფრანგეთის გეგმებში დაინახეს მათ წინააღმდეგ მიმართული უდიდესი საფრთხე: ამ პოლიტიკამ ეკონომიურად დაშალა ცენტრალური ევროპა და გამეფა იქ ქაოსი, ხოლო პოლიტიკურად დიდი გამარჯვება მიანიჭა საფრანგეთს ევროპის კონტინენტზე. დღეს რურის შეცდომების გამოსწორებისაკენაც არის მიმართული ინგლისის ახალი მთავრობის პოლიტიკა, რასაც მხარს უჭერს ლიბერალური პარტია.

რუსეთი თავისი მდიდარი სამეურნეო რაიონებით დიდ ბაზარს წარმოადგენდა ინგლისისათვის, როგორც საქონლის ნედლი მასალის ექსპორტისა და იმპორტისათვის, ისე კაპიტალის უშუალო ამოძრავებით რუსეთის მრეწველობის დარგებში. ინგლისის საერთო კაპიტალი რუსეთის მრეწველობაში მოთავსებული რევოლიუციამდე უდრიდა 507.479.8 ათასს მანეთს, აქედან ნავთის მრეწველობაში მოთავსებული იყო — 172.799.3 ათასი, ე. ი. 34.05 პროც. ინგლისის იმპორტში 1913 წ. ყოფილ რუსეთს ეკუთვნოდა 40.471 ათასი გირვანქა სტერლინგის ნედლი მასალა და სურსათ-სანოვაგე უმთავრესად. 1921 წელს დაეცა 13.123 ათასამდე. ინგლისს რუსეთის ტერიტორიაზე შეჰქონდა 1913 წ. 18.103 ათასი გირ. სტერლინგის საქონელი 1921 წ. შეიტანა — 8 630 ათასის. დღეს ეს უდიდესი სამეურნეო ქვეყანა თითქმის მოწყვეტილი არის საერთაშორისო ბაზრებს და კარჩაკეტილ სამეურნეო მუშაობას ეწევა. ინგლისის უპირველესი და უმთავრესი ინტერესია გახსნას ეს ბაზარი და მოიპოვოს თავისი შესაფერისი მდგომარეობა რუსეთის სამეურნეო ცხოვრებაში, რასაც შეუძლია საგრძნობლად გამოასწოროს მისი ეკონომიური მდგომარეობა.

ჩვენ აქ არ შევეხებით ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკასთან, სადაც მას დიდი კონკურენცია გაუწია ამერიკამ და ომის დროს წაართვა მნიშვნელოვანი სამეურნეო რაიონები.

თვით ამერიკასთან ინგლისის ეკონომიური ურთიერთობა ყველაზე უფრო გამწვავებული და ტრაგიკულია. ომამდე მსოფლიოს ჰეგემონია ხელთ ეპყრა ინგლისს თავისი სამრეწველოების მონოპოლიური მდგომარეობით საერთაშორისო ბაზრებზე და საუცხოვო ტრანსპორტით. ომის შემდეგ ეკონომიური ცხოვრების ცენტრში წყნარ ოკეანეს ბასეინისაკენ გადაგორდა და ამერიკა შეიქმნა „მსოფლიოს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ“ (ვილსონი). ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის, აი რა ახასიათებს ინგლის-ამერიკის ურთიერთობას. ამ ბრძოლაში ამერიკამ საგრძნობი გამარჯვებები მოიპოვა ომის მიერ შექმნილ პირობებისა და თავისი საუცხოვო მოწყობილ ტექნიკურ - კაპიტალისტურ - სამეურნეო აპარატის წყალობით. ომამდე სავაჭრო ფლოტის საქმეში ინგლისს ეკუთვნოდა პირველი ადგილი და მის წილს შეადგენდა 47 პროც. მეტი, ხოლო ამერიკა მეექვსე-მეშვიდე ადგილზე იყო და მისი წილი შესდგებოდა 4,5 პროც.-გან, დღეს ინგლისს ეკუთვნის 35 პროც., ხოლო ამერიკას 30-დე. ამერიკა დღეს მთელი მსოფლიოს კრედიტორია. თვით ინგლისმა მას უნდა გადაუხადოს დაახლოვებით 4 ნახ. მილიარდ დოლარამდე; ეს ისეთი დიდი ტვირთია ინგლისის ზურგზე, რომ მას არ აძლევს ფართო მოქმედების საშუალებას. ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ამერიკამ მეტად დიდი ადგილი დაიჭირა თავისი აქტიური ბალანსით: ამერიკის ექსპორტი ინგლისში უდრიდა 1913 წ. — 141 652 ათასს გირვანქას, 1920 წ. — 536.327 ათას, 1921 წ. 275.189 ათასს ინგლისის ექსპორტი ამერიკაში — 1919 წ. 29 295 ათასს. 1920 წ. — 77 119 ათასს; 1921 წ. 44.201 ათასს.

როგორც ვხედავთ ამერიკის უპირატესობა 1921 წ. 230 მილ. სტერლინგს აქტიურ ბალანსში გამოიხატა, რაც ამერიკის კაპიტალისტებმა ჩაიჩხრიალეს ჯიბეში. ინგლისის ცდა არის თავი გაინთავისუფლოს ამერი

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 29 (881).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერინიტი, ქვა-მარილი ნახიჩ., სალომასი, „ხლებოპროდუქტ“-ის ნაწარმოები, მზესუმზირას ზეთი (5.000 ფ.) ერევნის მატყლი (გარეცხილი) სადურგლო წებო, ქინაქინა, გიგროსკობიული ბამბა, შპრიცები, პლატინის ნემსები, ფანქარი (შავი, ქიმიური და ფერადი).

ბირჟის მოთხოვნილება.

რკინის მილები (წყალსადენის) ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ნუში მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნ. ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩევ., პემზა, რკინეულობა.

ოფიციალური გარიგებანი.

ფეხსაცმელები. 13 და 14 მან. წყვილში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ფქვილი 1 ხარ.—2 მ. 85 კ. ფუთში, ფრანკო სადგური ტფილისი.

ტყავეულობა. („კოჟსინდიკატ“-ის)—8690 მანეთის, ფრანკო—„კოჟსინდიკატ“-ის საწყობი.

სადურგლო წებო. 7. მ. 50 კ ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ტყავეულობა ფეხსაცმელებისათვის. 35,25 და 120 მან. (იუფტი) ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლის და პურეულის, ტეხნიკურ ცხიმების—და მცენარეულ ქონის ბაზარზე ფასები აწეულია; ქიმიურ და მოსკატელიურ ბაზრებზე—გაცხოველებული. დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცები და უცხო ვალიუტის კურსი კვლავ ზევით იწევს.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(7 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	1.780.000,	60 კ.	106 800.000
2 „	3 560.000,	70 „	124 600.000
3 „	5.340.000,	80 „	142 400.000
4 „	7.120..000,	90 „	160.200.000
5 „	8 900.000,	1 მ.	178 000.000
6 „	10.680.000,	2 „	356 000.000
7 „	12 460.000,	3 „	534 000.000
8 „	14,240.000,	4 „	712 000.000
9 „	16 020.000,	5 „	890 000.000
10 „	17 800.000,	6 „	1.068.000.000
20 „	35 600.000,	7 „	1.246 000.000
30 „	53 400.000,	8 „	1.424 000.000
40 „	71 200.000,	9 „	1,602 000.000
50 „	89 000 000,	1 ჩერ.	1,780.000.000

თათბირი მატყლის დამზადების შესახებ ამ. კავკას.

„ნედლეულის კომიტეტ“-ის მიერ მოწვეულ თათბირზე მოსმენილი იქნა ამხანაგობების „შერსტ“-ის და „მშვესის“ წარმომადგენლების მოხსენებანი, რომლებიც შეეხებოდა მატყლის დამზადების საქმეს მატყლის მრეწველობისათვის და საერთოდ მეცხვარეობის საქმეს.

თათბირმა საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები: რათა მატყლის დამზადება გეგმაშეწონილად სწარმოებდეს და კონკურენცია აცილებული იქნეს; საჭიროა დამზადება გაყოფილ იქნეს რაიონებად სააღმშიფო ორგანოების და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის; საქართველოში დამზადება მიენდოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ხოლო იმ რაიონებში, სადაც კოოპერაცია მას ვერ შესძლებს (აზერბეიჯანში და სომხეთში),—მიენდოს აგრედვე ადგილობრივ რესპუბლიკანურ ორგანოებს.

კოოპერატიული დამზადება უნდა სწარმოებდეს პირველი საფეხურის კოოპერატივების საშუალებით, ხოლო კოოპერაციის ცენტრალური ორგანოები ხელმძღვანელობას უწევენ მათ.

მატყლის დამზადების მოწესრიგება და კონტროლი უნდა სწარმოებდეს ნედლეულის კომიტეტთან არსებულ მატყლის სექციის საშუალებით. მატყლის ღირებულება ეძლევა ცხვრის პატრონს მატყლის ჩაბარების დროს ან ჩერვონცებით ან საქონლით.

თათბირმა აგრედვე საჭიროდ სცნო, სასოფლო მეურნეობისა და კერძოდ მეცხვარეობისათვის კრედიტის მიცემა, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო ბანკები საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

კოოპერაცია

ცეკავშირის საკრედიტო ქვე-განყოფილება

1) ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან მოეწყო საკრედიტო ქვეგანყოფილება, რომლის მიზანია მოწყობა სასოფლო-სამეურნეო კრედიტისა კოოპერატივებთან. ქვეგანყოფილება უკვე აწყობს სოფლის კოოპერატივებთან საკრედიტო განყოფილებებს, რომელთაც მიეცემათ საჭირო საბრუნავი თანხა. ამ მიზნისათვის ქვეგანყოფილებას გადაეცემა გამგეობის მიერ 100,000 ჩერვონეცის მანეთი. ქვეგანყოფილება აწარმოებს ფულის მიღების (ანაბარის სახით) და გაცემის (სესხის სახით) ყოველგვარ ოპერაციებს.

აგრონომიული ქვეგანყოფილება.

2) ცეკავშირის სასოფ.-სამ. განყოფილებასთან მოეწყო აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება, რომლის მიზანია აღმოუჩინოს აგრო-დახმარება ყველა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს და მოაწყოს საჩვენებელი მინდვრები, სანერგეები, საგრილებელი პუნქტები, ლექციები და კურსები სასოფლო-სამეურნეო შინაარსის და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები. ჯერ-ჯერობით განზრახულია მოწყობა შემდეგი პუნქტებისა: 1. სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტი წნორის წყალზე (კახეთში), 2 თუთის სანერგე (ქართლში), 3 სათესლე ბოსტანი ყარაიაზში, 4. მებამბეობის საჩვენებელი ნაკვეთი კახეთში, 5. მეთამბაქოობის საჩვენებელი ნაკვეთი ლაგოდეხის რაიონში, 6 საგრილებელი პუნქტი ბორჩალოს მაზრაში, 7. ხეხილის სანერგე ქართლში, ყველა ამ საქმეებზე გამგეობის მიერ ჯერ-ჯერობით გადადებულია 30 ათას ჩერვონეცის მანეთი და გარდა ამისა ცეკავშირთან არსებული საკრედიტო განყოფილებას აღმოუჩენს საჭირო დახმარებას.

ამავე ქვეგანყოფილებაში იქნება მოწვეული ჯერ-ჯერობით სამი აგრონომ-ინსტრუქტორი.

კოოპერატიული სამმართველო.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ სამმართველოს კოლეგიის მიერ 1923 წ. განმავლობაში დამტკიცებულ იქნა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო, ბინების მაშენებელი და საამშენებლო-მელიორატიული ამხანაგობანი:

1. მუშათა ბინების მაშენებელი ამხ.-ბა „ეპიროიდი“, 2. მუშათა ბინების მაშენებელი ამხ.-ბა „ლენინ“-ს სახელობისა, 3. ტფილისის მუშათა მაშენებელი ამხ.-ბა „ტროცკი“-ს სახელობისა, 4. ტფილისის ბინების მაშენებელი ამხ. ბა „ტომსკი“-ს სახელობისა, 5 მუშათა ბინების მაშენებელი ამხ.-ბა „მიხა ცხაკაია“-ს სახელობისა, 6. საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა „ვაკე“, 7. პროფკავშირთა ბინების მშენებელი ამხ.-ბა, 8. ტფილისის ბინების მაშენებელი ამხანაგობათა კავშირი „ცენტროსტროი“, 9. ზემო-იმერეთის მეფუტკრეთა ამხ ბა „ფუტკარი“ და სხვა“, 10. სასოფლო სამეურნეო მშრომელ მწარმოებელთა ამხ-ბა „თესლი“, 11 ქალთა შრომის არტ. „ქალთა შრომა“, 12. მიწის დამმუშავებელთა არტელი „შრომელი“, 13. საწარმოეო არტელი „პრაგამაშინა“ 14. ტფილისის პურის მცხობელთა კოოპერატიული ამხ“-ბა „ეროვანი“, 15. გორის მაზრის სოფ ხიდისთავის მეხილეთა ამხ-ბა „ატამი“, 16 სოფ. თეძმის წმიდას მებოსტნეთა ამხ-ბა „ბოსტანი“ 17. სოფელ ატენის მეხილეთა ამხანაგობა „ტანა“ 18. მეჯვრისხევის მეხილეთა ამხ“ ბა „მეჯუდა“, 19. ქვემო ჭალის მეხილეთა ამხ-ბა „ლიხურა“ 20. შინდისის მეხილეთა ამხ.“-ბა „გემოვნება“ 21. ტყვიავის მეხილეთა ამხ ბა „ლიახვი“ 22. გორის მაზრის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა კავშირი „წითელი ქართლი“, 23. სოფ. ნორიოს საამშენებლო სამელიორაციო ამხ-ბა „აჭკვეთი“, 24. თელავის მაზრის სოფ საბუეს სამელიორაციო ამხ-ბა „ინწობა“, 25 თიანეთის მაზრის ს. ახმეტის სასოფლო-სამეურნეო მშრომელ-მწარმოებელთა ამხ ბა „ცხოვრების სანერგე“, 26. სასოფლო-სამეურ. ამხ“-ბა „დიდი ლიახვი“, 27 სასოფ.-სამეურ. ამხ-ბა „საქაშეთი“, 28. სასოფლო-სამეურნეო ამხ ბა „ვერიანი“. 29. ყვარელის მევენახეთა ამხანაგობა. 30. გორის მაზრის მეხილეთა ამხანაგობა „შერთული“. 31. შორაპნის მაზრის სოფ. ქვაციხის სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბა „ახალი ცხოვრება“, 32. თელავის მაზრის მევენახეთა ამხ ბა „სანავარდო“. 33. კრწანისის მეხილეთა და მებოსტნეთა ამხანაგობა, 32 თელავის მაზრის მევენახეთა ამხანაგობა „კონცხა“.

კის ასეთი მძიმე ტვირთისაგან და იქ გააბას სავაჭრო ურთიერთობა, სადაც მას მეტი მოგება დარჩება.

ინგლისის საგარეო ვაჭრობის დამახასიათებელი თვისება იყო საგრძნობი პასიური ბალანსი: იმპორტის უმეტესობა ექსპორტზე. ეს პასიური ბალანსი იფარებოდა უმთავრესად საზღვარგარეთ მოთავსებულ კაპიტალის პროცენტებისაგან. ინგლისმა **კაპიტალის ექსპორტის** საქმეშიაც საგრძნობლად წაიტეხა ფეხი. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში და მას წინ გაუსწრეს ამერიკის კაპიტალისტებმა. ამას ნათელსყოფს ცნობები კაპიტალის ექსპორტის შესახებ ინგლისიდან და ამერიკიდან (მილიონი დოლარით):

წლები	ინგლისი	ამერიკა.
1913	422	72
1920	40	464
1921	111	596
1922	276	652

მაშინ, როდესაც კაპიტალის. ექსპორტის საქმე ინგლისიდან დაეცა 65 პროც.-დე, ამერიკაში გაიზარდა 810 პროცენტით.

საკმარისი არის ეს მცირედი ცნობებიც ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებიდან, რომ ნათლად წარმოიდგინოთ ის, თუ რატომ შეადგენდა ინგლისის პოლიტიკის მთავარ საფუძველს მსოფლიო მეურნეობის აღდგენა პირველ რიგში. ამდენხანს ინგლისი ვერ ბედავდა რადიკალურად სეპარატიულ ნაბიჯის გადადგმას რუსეთის ცნობის საქმეში. დღეს ეს ნაბიჯი გადადგმულია, რადგან მისი „მოკავშირე“ საფრანგეთი ევროპის ეკონომიურ აღდგენას კი არ უწყობდა ხელს, არამედ მის დაშლასა და განადგურებას. ინგლისს ეკონომიურად ესაჭიროება რუსეთის ბაზრების ყოველმხრივი გამოყენება და ცენტრალურ ევროპის ეკონომიურ ქაოსიდან განთავისუფლება, მსოფლიო მეურნეობის ეკონომიური გამრთელება და განახლება. ამ მიზნის მიღწევას იგი სცდილობს საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიურ ფერხულში ჩაბმითა და მასთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის გაბმით.

ამ ეკონომიურ მიზეზებთან ერთად ინგლისის საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებას ხელი შეუწყო აგრეთვე **პოლიტიკურმა ფაქტორებმა.** თუ საერთაშორისო მასშტაბით კონფლიქტის მთავარ ღერძს წარმოადგენს ინგლისის-ამერიკის ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის კონტინენტებზე ამ ბრძოლის ფონი დასერილია ინგლის-საფრანგეთის უთანხმოებით. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ომის შემდეგ არ დაშთენილა არც ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი, რომელსაც არ გამოეწვიოს ღრმა უთანხმოება ამ ორ სახელმწიფოთა შორის. ოსმალეთისა და ტანჟერის საკითხში ეს ორი „მოკავშირე“ სახელმწიფო იარაღით ხელში დაუპირისპირდენ ერთი მეორეს. თუ ომის დასრულების შემდეგ პერიოდში ინგლისი ზეიმობდა თავის გამარჯვებას, დღეს ამ გამარჯვებას მწვავე დაღი აზის საფრანგეთის პოლიტიკის წყალობით. საფრანგეთი დღეს მთელ თავის ენერგიას სამხედრო შეიარაღებას ანდომებს და ყოველგვარი შეთანხმებისა და ნორმების გარეშე ტერიტორიას ტერიტორიაზე ართმევს გერმანიას. მეორეს მხრით, მან თავისი ვასალური სახელმწიფოები გაიჩინა მცირე ანტანტისა და პოლონეთის სახით, რომელნიც გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის უმაგრესს ზღუდეთ არიან აღმართულნი; ისინი ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დამოკიდებულნი არიან საფრანგეთისაგან. ეს „ვასალები“ არ არის მარტო რუსეთ-გერმანეთის გამყოფი ძალა, ისინი სხვა მოვალეობებითაც არიან დატვირთულნი.

ეს კარგად ესმის ინგლისს და მისი ახალი პოლიტიკა, საბჭოთა რესპუბლიკების დაახლოვებისაკენ მიმართული, რამდენადმე საფრანგეთის ინტრიგების ალაგმვასაც ემსახურება.

რამდენადაც უფრო ფართოდ გაითხრება უფსკრული კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, იმ სახელმწიფოთა, რომელნიც რამოდენიმე წლის წინად იარაღით ხელში გამოდიოდენ ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის გასანადგურებლად იმდენად ჩვენ მტკიცე საფუძვლებზე ავაგებთ ჩვენი აღორძინების საქმეს, იმდენად უფრო მძლავრად ავუმართავთ ჩვენს კომუნისტურ დროშას საბოლოო გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

სიმონ ხუნდაძე

პროფკავშირებში

ა|წ. თებერვლის განმავლობაში იწარმოებს საბჭოთა მუშაკების ადგილკომების გადასახალისებელი კამპანია.

კავშირთა სამაზრო კონფერენცია ჭიათურაში. ჭიათურაში ჩატარდა კავშირთა სამაზრო კონფერენცია. გაკეთებულ იქნა მოხსენებები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, სამაზრო პროფბიუროს მოქმედებაზე და სხვა, დასასრულ მოხდა სამაზრო პროფბიუროს ახალი არჩევნები.

ხელოვანთა კავშირის მეოთხე ყრილობა.

ა|წ. 15 თებერვალს ტფილისში მოწვეულ იქნება ხელოვანთა კავშირის საქ. სამ. მე-4 ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმად ყოველ 50 კაცზე დაწესებულია ერთი დელეგატი—გადამწყვეტი ხმით უფლებით: ყრილობის დღის წესრიგი: ცენტრ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, სახ. გან კომის სახელოვნო კომიტეტის ანგარიში, პროფესიონალური კითხვები და ცენტ. გამგეობის არჩევნები.

სოციალურ დაზღვევა.

მზრუნველთა და მშენებელთა კავშირების წევრთა საქალაქო კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. კალაძის მოხსენება სოციალური დაზღვევის პრინციპებსა და დამზღვევი კასის გამგეობის მოქმედების შესახებ. ხსენებულ კავშირთა წევრების საქალაქო კრებამ დაადასტურა, რომ სოციალური დაზღვევის საქმე საბჭოთა ხელისუფლების დროს სათანადო სიმაღლეზე სდგას და სავსებით აკმაყოფილებს მუშა ხალხის საჭიროებას ამ დარგში. დამზღვევი კასის მოქმედება დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი და აღნიშნული მთელი რიგი მიღწევათა წარსულ პერიოდთან შედარებით.

საბჭოთა მუშაკებში.

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის სამდივნომ მოისმინა მოხსენებები ლეჩხუმის, თელავის, სენაკის, შორაპნის სამაზრო განყოფილებების, რომელთა მუშაობა სამდივნომ დამაკმაყოფილებლად აღიარა და მისცა შემდეგ მუშაობისათვის მთელი რიგი დირექტივებისა.

მელითონეთა კავშირში

ყრილობის შემდეგ, მელითონეთა კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, რაც შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო.

საკავშირო მასა მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებს ყრილობებზე; დელეგატების კრებებზე და წარმოებებში გამართულ სხდომებზე.

ხშირად საკავშირო მასა ხდება ინიციატორი ამა თუ იმ ღონისძიების გამომუშავების საქმეში, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. ცენტ. გამგეობამ შემოიღო საღამოობით სხდომების გამართვა, რაც საშუალებას აძლევს მუშებს, განსაკუთრებით კერძო წარმოების მუშებს გაერკვიონ და ნათელი წარმოდგენა იქონიონ კავშირის მუშაობაზე.

ურთიერთობა სამეურნეო ორგანოებთან.

უკანასკნელ ხანებში კავშირის ურთიერთობა სამეურნეო ორგანოებთან კერძოთ ს. მ. ე. ს. ლითონის განყოფილებასთან ნორმალური შეიქნა. კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ზედდებული ხარჯების შემცირების საქმეში. კავშირის ენერგიული ცდით ლითონის დამამუშავებელ მრეწველობაში ზედდებული ხარჯები 10 პროცენტამდე იქნა დაყვანილი.

საქონლის მანეთის დატოვება. განახლებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში სამუშაო ხელფასის გამოანგარიშება ხდება კვლავ საქონლის მანეთებით.

უმუშევრობასთან ბრძოლა. ამ ჟამად კავშირი ზომებს იღებს არტელის მოსაწყობათ შრომის ბირჟაში ჩარიცხულ უმუშევართათვის.

პროფ-ტეხნიკური კურსები. მექანიკურ ქარხანასთან გაიხსნა პროფტეხნიკური კურსები სალითონო მრეწველობის შესასწავლად. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. სწავლობს 18 მოწაფე. კურსები გახსნილია კავშირის კულტფონდის ხარჯზე. ამავე ქარხანასთან არის საქარხნო სკოლა, რომელსაც ინახავს მექ ნ. ქარხანა და სახ. გან. კომისარიატი.

ლითონის განყოფილებასთანაც მოწყობილია ექვსთვიანი პროფტეხნიკური კურსები, სადაც 30 მოწაფე მეცადინეობს. კურსებს ინახავს აგრეთვე კავშირის კულტფონდი.

მიწა-ტყის კავშირში

მოჯამაგირეობა

(ცენტრ. გამგეობის მოხსენება)

სრულიად გამოცალკევებულია და ამავე დროს მეტად მწვავედ სდგას საკითხი მოჯამაგირეობის ორგანიზაციის და ცალკე მოჯამაგირეთა პროფკავშირში ჩარიცხვის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკაში არის საკმაოდ მოზდილი რიცხვი სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატისა, რომელიც უმთავრესად მუშაობს აფხაზეთის და ლაგოდეხის ჩაის და თამბაქოს პლანტაციებში.

აფხაზეთში უკვე სწარმოებს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის კავშირში ჩასარიცხად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მუშაობას საგრძნობი ნაყოფი არ მოუცია. საჭიროა განსაკუთრებული აპარატის შექმნა და საკმაოდ მსხვილი თანხა ამ საქმის მოსაგვარებლად.

ბორჩალოს მაზრაში რამოდენიმე თუმცა უმნიშვნელო ნაწილია სას. სამ. პროლეტარიატისა უკვე ჩარიცხულია კავშირში.

კავშირის ეკონომიური მუშაობა.

მიწა-ტყის კავშირი სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებით მიწათმოქმედების სახ. კომ. მუშაობაზე იღებს მეტად აქტიურ მონაწილეობას მუშაობის გეგმისა და პროგრამის გამომუშავების დროს.

მიუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მათს მუშაობაში კავშირის მონაწილეობის საჭიროებას და მრავალ მათ მიერ გამოყოფილ კომისიაში კავშირის წარმომადგენელს ადგილი არ ეთმობა.

რამდენადაც სამეურნეო ორგანოები გააძლიერებენ ეკონომიურ მუშაობას, იმდენად კავშირის ცენტ. გამგეობა მიიღებს უფრო გაცხოველებულ და ორგანიულ მონაწილეობას სამეურნეო მშენებლობაში.

მომავალი ამოცანები.

მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ცენტ. გამგეობას წინადადება მიეცა შემდეგში გააძლიეროს კავშირი პროვინციასთან რეგულარული ხშირი მიმოსვლის საშუალებით. წინადადება ეძლევა აგრეთვე გ—ს მოახდინოს ადგილებზე საკავშირო ორგანოების გადახალისება — პატარა წარმოებები გააერთიანოს ერთი მსხვილი წარმოების გარშემო ისე, რომ ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას შეუთანხმოს.

შემდეგ ცენტ. გამგეობას ევალება მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სასოფლო-სამეურნეო მუშებში ორგანიზაციულ მუშაობას, განსაკუთრებით აფხაზეთსა და ლაგოდეხის პლანტაციებში მომუშავეების შორის. ამ მიზნით მოკლე ხანში უნდა გაგზავნილ იქნენ ხსენებულ ადგილებში ცენტ. გამგეობის წევრნი.

ეკონომიურ დარგში ცენტ. გამგეობას წინადადება ეძლევა გააძლიეროს მუშაობა სამეურნეო ორგანოებში, განსაკუთრებით მიწათ-მოქმედებისა სახ. კომ. და მის განყოფილებებში.

სატარიფო დარგში ცენტ. გამგეობას ევალება კოლექტ. ხელშეკრულების დადება იმ ჯგუფებისთვის, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე არიან გადაყვანილი.

საბჭოთა სასამართლოში

მხეცური ინსტინქტი

ბოროტმოქმედნი უმეტეს შემთხვევაში გულუბრყვილონი არიან. და ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის დროს—უბრალო ბავშვებად ხდებიან. ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული წარსული ეპოქის სისხლის სამართლის ძიების მიერ. იგივე აზრი გატარებულია ვ. დოროშევიჩის მიმოხილვაში სახალინის შესახებ.

ბავშვური გულუბრყვილობა და წინდაუხედაობა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის დროს ახასიათებს არა მარტო გამოუცდელ, არამედ გამოცდილ, მხეცისავით დაუზოგავ და შეუპოვარ ბოროტმოქმედებს.

სახალინის ერთ-ერთმა გმირმა არაჩვეულებრივი შეუბრალებლობით მოკლა მოულოდ თავის თანამცხოვრებ ქალს, გაგზავნა მისი გვამი საბარგო მატარებლით და თავის გამოცვლილ გვართან ერთად გასაგზავნ ბარათზე დასწერა ნამდვილი თავის სახელის და გვარის ინიციალები. სწორედ ამან დაღუპა ის.

რაღას გამოიგონებენ ამაზე მეტს სახალინის მოქალაქეების მონათესავე მნელი, გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც სჩადიან ბოროტმოქმედებას მხეცური ინსტინქტით.

ესენი არა თუ ვერ ფარავენ დანაშაულს—პირიქით თვითონ ამჟღავნებენ მას.

„რაბოჩაია პრავდას“ № 239-ში მოყვანილი იყო ცნობა პატარა ქალიშვილის მხეცურად მოკვლის შესახებ. ვინმე ჯელალოვის ქალმა მოისურვა რა მუდმივათ ეცხოვრა თავის საყვარელთან, რომელსაც ჰყავდა თავისი ოჯახი, გადასწყვიტა თავიდან მოეშორებია დაბრკოლება—ბავშვები. მან თავისი გეგმა ნახევრად შეასრულა—თავიდან მოიშორა ერთი ქალიშვილი: წაიყვანა ის ორთაჭალაში და ქვით გაუტეხა იქ თავი. დაფარა რა გვამი ლოდის ქვეშ, ჯელალოვის ქალი მიიმალა, მაგრამ... გავიდა დრო და დამნაშავედ თვითონ გასცა თავისი თავი.

ჯელალოვის ქალმა მიმართა შრომის სასამართლოს თხოვნით გადაახდევინოს მოქ. № ს 3 წლის განმავლობაში გადაუხდელი ხელფასი. „მომჩივანმა“ ქალმა განაცხადა, რომ № თან სამსახურის დროს მას არ მიუღია ჯამაგირი.

მოპასუხემ განაცხადა, რომ ჯელალოვი მისი საყვარელია და სთხოვა სასამართლოს შეეკითხოს მას, სად წაიყვანა მან მისი ქალიშვილი, რომელიც დაიკარგა 2 თვის წინად? საქმე გადაიდო და 2—3 კვირის შემდეგ გაზეთში დაიბეჭდა ზემოდ აღნიშნული ცნობა მხეცური მკვლელობის შესახებ და შრომის სასამართლომ გადასცა საქმე პროკურორს.

იმავე შრომის სასამართლოში მხარეები—ცოლი და ქმარი. მომჩივანი ცოლი. როცა ის დაქორწინდა, სცხოვრობდა მშვიდობიანათ 2 ბავშვით. უფროსი ქალი 14—15 წლის—მსახურობდა. მაგრამ შემდეგ ის შეირთო ვიღაცა მოქალაქემ, რომელიც დაჰპირდა მთელი ოჯახის შენახვას და სხ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მოქალაქემ გაჰყიდა ორივე ქალიშვილი იმ პირობით, რომ მოგებას თავის ცოლსაც გაუყოფდა, მაგრამ გაყიდვის შემდეგ არაფერი აღარ მისცა.

„მომჩივანი“ არ ეკითხება შრომის სასამართლოს თავის შვილების შესახებ, ის მოითხოვს კანონიერ ვალის მიღებას.

შრომის სასამართლომ ეს საქმე პროკურორს გადასცა.

გუსეინ ისმაილოვის საქმე.

ა.-წ. 5 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით გარჩეულ იქნა ისმაილოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა სამსახურში ბოროტმოქმედების ჩადენა.

ბრალდებული იყო აგენტი აბანოებისათვის სხვადასხვა მასალების შესაძენად. მასალების სყიდვის დროს ისმაილოვი ადგენდა გადაჭარბებულ ანგარიშებს.

მასალების უმეტეს ნაწილს ისმაილოვი ყიდულობდა ინჟენერ კალამკაროვისაგან, რომელიც აძლევდა მას რკინას, ცემენტს და სხ. ერთხელ ისმაილოვმა გააკეთა შემდეგი მახინაცია. მან გამოართვა კალამკაროვს ნისიად სხვადასხვა მასალა, წაიღო თავის სახლში, გაჰყიდა სხვაზე და ვალს არ უხდიდა ინჟ. კალამკაროვს, უკანასკნელი, რამდენჯერმე გახსენების შემდეგ იძულებული იყო მიემართა აღმასკომის კომუნალურ განყოფილებისათვის, სადაც საქმის გარემოება გამოირკვა და საქმე გადაეცა სასამართლოს.

ისმაილოვმა არ სცნო თავი დამნაშავეთ და განაცხადა, რომ მან ხელწერილი მისცა კალამკაროვს „მეგობრული ვალდებულების“ სახით. ეს ვითომ საჭირო იყო კალამკაროვისათვის მისი მოვალისათვის წარსადგენათ იმის დასამტკიცებლათ, რომ კალამკაროვი ამ ცოტა ხანში მოელის ფულს. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ისმაილოვი და მიუსაჯა მას ერთი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია პირველათ, სასამართლომ შესაძლებლად ჩასთვალა სისხლის სამართლის კოდექსის 46 მუხლის თანახმად, სასჯელი პირობითად შეუცვალოს და სასჯელის ვადა 3 წლამდე გაუდიდოს.

ისმაილოვს ბრალს სდებდა პროკურორი დიდებულიძე. იცავდა მღვდლიევი.

მეცნიერება და ტექნიკა

ავიაცია, როგორც იარაღი მოსავლის მავნეებთან და ტყის ხანძართან საბრძოლველად.

რუსეთის მიწათმოქმედების კომისარიატი ახდენდა მოსავლის ცდებს შესაძლებელია თუ არა ავიაციის საშუალებით ბრძოლა მოსავლის მავნეებთან და ტყეების ხანძართან. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელი საავიაციო სადგური იმუშავებდა კალიასთან ბრძოლის ზომებს.

კალიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას ჯერ-ჯერობით, როგორც სჩანს, წარმოადგენს ზოგიერთ შხამიან ნივთიერებათა მოფანტვა აეროპლანიდან იმ სივრცეზე, სადაც კალიას კვერცხები მოიპოება. მიწათმოქმედების კომისარიატის დავალებით ასეთ ცდებს აწარმოებდა წითელი მფრინავი ვალენტეი. ამხ. ვალენტეის გამოანგარიშებით ავიაციის საშუალებით თითეულ დესეტინა მიწაზე კალიის მოსპობა დაჯდება ათი კაპეიკი ოქროთი, რაც 20-ჯერ უფრო ნაკლებია იმ ხარჯებზე, რომლებსაც მოითხოვს კალიასთან ბრძოლა ჩვეულებრივი საშუალებებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავიაციის როლი ტყეების ხანძარის ჩაქრობაში. მფრინავი აეროპლანიდან ყრიან ცეცხლის საქრობებს და არკვევენ. თუ სად გაჩნდა ცეცხლი.

ავიაციის გამოყენება ტყეების ხანძარის ჩასაქრობათ განსაკუთრებით გავრცელებულია და მას ფართე ხასიათი აქვს ამერიკაში. ავიაციის გამოყენებამ ამ მიზნისათვის ბევრი სარგებლობა მოუტანა სახელმწიფოს და ბევრი ტყის სიმდიდრე გადაარჩინა. 1919 წელს ტყის ხანძარისათვის თვალყურის დევნება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა შტატებში—ორეგონა და კალიფორნია დავალებული ჰქონდა ორ საავიაციო რაზმს. მათ ძლიერ შორ მანძილზე (500—600 კილომეტრი*) უხდებოდათ ფრენა. ერთი წლის განმავლობაში ავიო-რაზმების ფრენის საერთო რაოდენობა 4000 საათს უდრიდა. ამ ხნის განმავლობაში მათ გაიარეს 750,000 კილომეტრი.

1921 წელში ამერიკელებმა კიდევ რამდენიმე საავიაციო რაზმი შექმნეს ამ მიზნით, 1921 წლის განმავლობაში ამ რაზმებმა 832 ტყის ხანძარი აღმოაჩინეს.

---

*) კილომეტრი თითქმის ერთ ვერსს უდრის.

ქრონიკა

— **რკინის გზის უმუშევართა აღრიცხვა.** 6—12 თებერვლამდე დანიშნულია რკინის გზის კავშირის უმუშევარ წევრთა აღრიცხვა, ვინც აღრიცხვაზე არ გამოცხადდება. კავშირიდან იქნება გამორიცხული.

— **ფიზიკური კულტურა.** პირველ სპარტაკის წრესთან დაარსდა სკოლის ექიმებისათვის ფიზიკურკულტურის კურსები. მეცადინეობა იწარმოებს კვირაში სამჯერ.

— **აფთიაქის მოწაფენი.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს აღრიცხვა ყველა აფთიაქების მოწაფეების, როგორც სტაჟიანების, ისე არა სტაჟის მქონენი.

— **უმუშევარ ქიმიკოსთა საყურადღებოდ.** 8—15 თებერვლამდე მოხდება ქიმიკოსთა წიგნაკების გადაცვლა ახალ წიგნაკებზე, რომლის შემდეგ წიგნაკი არავის მიეცემა.

— **ვაგონები მოწაფეთათვის.** ა. კ. რკინისგზის მმართველობის ბრძანებით, თებერვლის არდადეგების გამო, ყოველ მატარებელს მიაბამენ განსაკუთრებულ ვაგონს მოწაფეთა გადასაყვან-გადმოსაყვანად.

— **უქმეღლეები აჭარაში.** საქ. შრომის კომისარიატმა დაავალა აჭარის შრომის კომისარიატის რწმუნებულს წარმოადგინოს სათანადო მასალები აჭარაში უქმეღლეების დასაწესებლათ ადგილობრივ პირობების მიხედვით.

— **წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა დაეკისროს ადგილობრივ აღმასკომებს.

— **გადასახადი.** საქ. სახ. კომ. საბჭოს (1922 წლის აპრილის 25 დეკრეტის № 1) შინაურ პირუტყვთა გადამდებ სენთან საბრძოლველად საქონელზე შემოღებული (საქონელის შეფასების მიხედვით) სამი პროცენტის გადასახადი—დასტოვა ძალაში 1924 წლისთვისაც.

— **ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასასინჯად დაარსა კომისია: ამხ. საბაშვილის, ვარძიელის, მარ. ორახელაშვილის, ტალახაძის და არ. მიქაძის შემადგენლობით.

— **რკინისგზის უფასო ბილეთები.** სრ. საქ. ცენტრ. აღ. კომიტეტმა გადასწყვიტა: როგორც ცაკის წევრებს აგრეთვე კანდიდატებს მისცეს რკინისგზის უფასო ბილეთები.

— **ტფილისში ურმებით შემოსული საქონელზე გადასახადი.** ქალ. აღმასკომმა 14 იანვრის დადგენილების შესაცვლელათ დაადგინა: ქალაქში მომავალ ყველა ურმებს და აქლემებს განურჩევლად იმისა, თუ რა საქონელი მოაქვთ, გადახდეთ თითოს 30 კაპ. ბონებზე გადაყვანით. აღნიშნულ გადასახადის კურსი გამოიცვალოს თვეში ორჯერ.

— **შეღავათი.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს წინაშე, რათა ზაჰესკომის ტვირთზე დაწესებულ იქნეს შეღავათიანი ტარიფი.

— **ახალგაზრდა უმუშევარნი.** დედათა და ბავშვთა თავდაცვის განყოფილებამ იანვრის განმავლობაში აღრიცხვაზე აიყვანა 435 ახალგაზრდა უმუშევარი.

— **კულტურული მუშაობა უმუშევართა შორის.** შრომის კომისარიატმა წინადადებით მიმართა შრომის ბირჟას, რათა იგი შეუთანხმდეს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას და აწარმოოს კულტმუშაობა უმუშევართა შორის.

უმუშევართა კრება. კვირას ათ იანვარს, დილის 9 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში (მუშათა სასახლეში) მოწვეულია მელითონეების კავშირის ყველა უმუშევარ წევრების საერთო კრება დღის წესრიგი: 1. უმუშევრების წმენდა, 2 დახმარება კავშირის უმუშევარ წევრებს.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 10 თებერვალს, 11 ნახ. საათზე ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს, ყოფ. დიდი მთავრის ქ. № 70) წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ ლ. დიასამიძის მიერ შემდეგ თემაზე: „ტფილისის კომუნალური წყალსადენი და მისი პერსპექტივები“. დასწრება ყველას შეუძლია.

— **ბინაში ჩასახლების და ბინის გადაცემის შესახებ.** ქ. აღმასკომმა ბინის საკითხის შესახებ აღმასკომის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილება № 26 შეიტანა შემდეგი დამატება: თვითნებით ბინაში ჩასახლების და ბინის გადაცემის შემთხვევაში დაინტერესებული პირი (სახლის პატრონი და სხვ.) ვალდებულია განუცხადოს მილიციას ამის შესახებ 2 დღის განმავლობაში. მილიცია ვალდებულია იმოქმედოს სავალდებულო დადგენილების მიხედვით და დამნაშავე პირი დაუყოვნებლივ გამოასახლოს ბინიდან. ხოლო თუ მომჩივანი აცხადებს 2 დღის შემდეგ, საქმე უნდა გადაეცეს საბინაო სახალხო სასამართლოს.

— **უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი.** ქ. აღმასკომმა დაადგინა უპატრონო ბავშვთა ახალი თავშესაფარის გასახსნელათ განთავისუფლებული იქნას იტალიელთა რადიოს შენობა.

— **ზემო ავჭალის მადრო ელექტრონის სადგურის სასარგებლოთ.** ქალ. აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დაჩქარებით იქნას შემოღებული 5 პროც. გადასახადი რკინისგზის სამგზავრო და ტვირთის გადასაზიდ ტარიფებზე [illegible] სასარგებლოდ.

— **რევოლუციის [illegible] უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა ა-კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა დამტკიცებულ იქნას საქ. ს. ს. რ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა რევოლუციის დამსახურებულ მოღვაწეთა უზრუნველსაყოფათ.

— **ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი.** სახ კომისართა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ა-კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე რათა ყველა ფ.-ტელეგრაფის დაწესებულებანი გადაყვანილი იქნას ფ.-ტელეგრაფის კომისარიატის ხარჯზე და არც ერთი ფ.-ტ. დაწესებულება არ იქნას დახურული.

— **წითელი ჯვრის საზოგადოება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაავალა ყველა სახ. კომისარიატებს მიიღონ ზომები რათა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი, ტრესტები და სავაჭრო ამხანაგობანი ჩაეწერონ საქ. წითელ ჯვარის საზოგადოების წევრებათ.

— **მოწყალე დათა და ფერშლების კურსები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა, განათლების კომისარიატთან ერთად გამოიმუშავა პროგრამა მოწყალე დათა და ფერშლების კურსებისთვის. გამოცდები ამ კურსებზე დაიწყება მიმდინარე წლის 1-ლ ივლისიდან.

— **შრომის ბირჟა.** 5 თებერვალს. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—60 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—201. მოთხოვნილება იყო—126, სამუშაოზე გაიგზავნა—55.

შემთხვევები

— ქურდობა. 4 თებერვალს, დღის 2 საათზე ნაზშირის შესახ. № 6, გაქურდული იქნა მოქ. ნიკოლოზ კეჭკეჭიშვილის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთებთან ერთ ოქროს საათი სულ 50 მან. ოქროთი.

— ქურდობა. 4 თებერვალს. დილის 9 საათზე ელისაბედის ქ. 19 გაქურდული იქნა მოქ. გურგენ აილაზაროვის ბინა. წაღებულია მრავალი საოჯახო ნივთები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

— ქურდობა 4 თებერვალს. დღის 2 საათზე თვითნების ქუჩაზე გაქურდეს მოქ. ილიკო ფარსადანის ძე ჩიჩიაშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ოქროულობა 46 ჩერვონეცის.

ხელოვნება

„მუსიკალური სტიპენდიების კონკურსი სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ცხოვრებაში ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ფაქტს, რომელსაც უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება დახმარებას უწევს კონსერვატორიის ნიჭიერ და ამასთანავე მატერიალურათ არაუზრუნველყოფილ მოწაფეებს და უნიშნავს მათ სახელმწიფოს საშუალებებიდან მთელ რიგ სტიპენდიებს.

ფორტეპიანოს კლასიდან კონკურსში მონაწილეობას იღებდენ მთელი რიგი მოწაფეები და მოწაფე ქალები. სტიპენდიები მიიღო ოთხმა აბიტურიენტმა: სამი პროფ. ტრუსკოვსკის კლასიდან (მოწაფეები ზომმერი, პირადოვი და როსტომბეკოვი) და ერთი პროფ ტერ-სტეპანოვას კლასიდან—(კაზარიანი).

სკრიპკის კლასიდან სტიპენდიები მიიღეს მოწაფეებმა: ბროდსკიმ (პროფ. ლედნიკის კლასი), რეიმეროვმა (პროფ ვილშაუს კლასი) და ვიოლინოს კლასიდან მალუნცევმა—პროფ. მინიარის მოწაფემ, რომელიც მხოლოდ მიმდინარე წელში გადავიდა პროფ. ცოვიანოვის კლასში.

სიმღერის კლასიდან სტიპენდიები მიიღეს: მამამთავრიშვილმა (მასწავლებელ რეზნიკოვას კლასი), ჯანაშიამ (მასწავლებელ ბარერის კლასი), რეგენკაპფმა (პროფ. ზელიონაიას კლასი), ქუმსიაშვილმა (პროფ. რიადნოვის კლასი) და ჭრელაშვილმა (მასწავლებელ კირილოვას კლასი).

სპეციალური, ქუთაისის სტიპენდიები მიიღეს მოწაფე მჭედლიძემ, ცირილაძემ (პროფ. რიადნოვის და მასწავლებელ ვაგგის სიმღერის კლასები) და მჭედლიშვილმა (არფის კლასი).

ამას გარდა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნულია მთელი რიგი სტიპენდიები თეორიულ საგნებში. წარდგენილია მთელი რიგი ნაშრომები თეორიულ საგნებში, რომელნიც მოითხოვენ საკონკურსო კომისიისაგან დეტალურ განხილვას და დასაბუთებულ დასკვნას.

პ. ბეზუთოვი.

— **სახელმწიფო ოპერაში.** თანახმად მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებისა, ოპერის ყველა სასეზონო და უფასო ბილეთები 10 თებერვლიდან ირიცხებიან გაუქმებულად, გარდა მთავრობის ლოჟის ბილეთებისა.

— **მგოსან ნ. ზომლეთელის თხოვნა.** მგოსანი ზომლეთელი სთხოვს ყველას მისდა დაუკითხავად ნურსად მოათავსებენ მის ლექსებს,

— **პროლეტკულტის წევრთა ყრილობა.** 7 თებერვალს შესდგება პროლეტკულტის წევრთა საერთო ყრილობა. ყრილობა შესდგება სკოლის გარეშე განათლების სახლში.

— **ეგ. ნინოშვილის ნაწერების დასურათება.** ეგ. ნინოშვილის ნაწერების დასურათება, რომელიც დამზადებულია გამოსაცემათ, დაევალა მხატვრებს ლანსერეს და შაბამალაძეს. მხატვრები ახლო ხანში გაემგზავრებიან გურიის იმ ადგილებში, სადაც აღებულია ნინოშვილის მოთხრობათა სიუჟეტები.

— **ჟურნალი „მნათობი“.** საქ. პოლიტგანათლების მთავარ-მმართველობა ამ ახლო ხანში დაიწყებს ყოველთვიურ სამხატვრო სამეცნიერო ჟურნალ: „მნათობის“ გამოცემას.

— **ავლაბრის მუშათა კლუბი.** ავლაბრის მუშათა კლუბში შაბათს, 9 თებერვალს გაიმართება ქართული წარმოდგენა მუშა-მსახიობების მონაწილეობით.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა,** „ჰუგენოტები“
— **დრამა.** „გზა“. პრემიერა.
— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

გლოვის დღე ქ. ჭიათურაში

27 იანვარს, კვირას ქალ. ჭიათურას არაჩვეულებრივი გლოვის ელფერი დაეტყო. ქუჩები, საბჭოთა, საზოგადო, სამოქალაქო და კერძო დაწესებულებები წითელი დროშებით შავარშიებში და გლოვით იყო მოსილი.

სამაზრო პარტიულ კომიტეტსა, სამაზრო აღმასკომსა და მთავარ საბჭოთა დაწესებულებებში გამოფენილი იყო ამხ. ლენინის ძაძებში გახვეული და მწვანით შემოსილი სურათები. დილის 11 საათზე კავშირებში მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ჭიათურის სამრეწველო უბნის, ქალაქის და თემებიდან გლოვის დროშებით და სამგლოვიაროთ მოსული პარტორგანიზაციები, შავიქვის მაღაროს და სამრეწველო დარგის მუშა მოსამსახურენი, უპარტიო გლეხები, მოსწავლე ახალგაზრდობა და მრავალი სხვა.

მიტინგის გახსნის ადგილზე (თავისუფლების მოედანი), სადაც აღმართული იყო ძაძებში გახვეული და მწვანით მორთული ბიუსტი ამხ. ლენინის სურათით და უდგნენ საპატიო მცველები, ნახევარი საათის განმავლობაში მოზღვავდა კავშირებში მოგროვილი ხალხი. ცალკე კავშირებს და ორგანიზაციებს მოაქვთ თავიანთი საყვარელი ბელადის ძაძებში და მწვანეში გახვეული სურათები. გლოვის მიტინგს უერთდება გლოვით მოსილი განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილი და მილიცია.

ს. კავსაძის ხელმძღვანელობის ქვეშ ისმის ცალკე მუშათა და ცალკე მოწაფეების მომღერალთა გუნდის სამგლოვიარო ჰიმნი „თქვენ მსხვერპლი გახდით“ და „თქვენ შესწირეთ“ და სხ. მიტინგზე ყველას თავის ადგილი უჭირავს.

ყველა დაღვრემილი და მოუთმენლად ელის დიდი და უბადლო მასწავლებლის, ამხ. ლენინის დაკრძალვის უკანასკნელ გამოთხოვების სიტყვების მოსმენას.

სრულ 12 საათზე სამგლოვიარო მიტინგი მგრძნობიარე სიტყვით გახსნა ამხ. კ. სულავამ. გუნდები ასრულებენ ჰიმნს.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გოგიბერიძე. ლაპარაკობენ სხვებიც. ყველა ახასიათებს დიდი ბელადის პიროვნებას და რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

სრულ 3 საათზე მიტინგი პროცესსიათ წინ ლენინის ძაძებში გახვეულ

მუშათა ცხოვრება

ეს ქარხანა დიდ ყურადღებას მოითხოვს

(სახ. მეურ. უმ. საბჭ. საყურადღებოდ)

მთელ საქართველოში მხოლოდ ერთადერთი წუწუმის ქარხანა მოიპოვება. ეს არის ტფილისის წუწუმის ქარხანა.

ძლიერ საჭირო პროდუქტს იძლევა ეს ქარხანა. დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს ცხადია ყველასათვის. ჩვენთვის საინტერესო და საჭიროა ვიცოდეთ, როგორ მდგომარეობაში არის დასახელებული ქარხანა. სამწუხაროდ, მისი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ქარხანა კარგა ხანია დეფიციტს იძლევა წარმოებაში. სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მზადდება საკმაო რაოდენობის პროდუქტი. მზადდება იმდენი, რომ ქარხანა თავის ხარჯებსაც ვერ ფარავს მისი ნაწარმოებით. ქარხნის ხელმძღვანელთა გამორკვევით ყოველდღიურად აქ მზადდება 10,000-დე ცალი წუწუმა. ქარხანამ რომ მარტო თავისი ხარჯები დაფაროს, უნდა მზადდებოდეს ყოველდღიურად არა ნაკლებ 15 ათ. ცალისა. და ამის შეუძლებლობის მიზეზი ისაა, რომ ქარხანას ძლიერ ძვირად უჯდება შორეულ მხარედან ხე-ტყის მასალის ზიდვა. ამასთანავე მოშლილი და გაფუჭებულია ქარხანაში რამდენიმე მანქანა. ამ ნიადაგზე ხშირად ერთი მომუშავის ალაგას 15-ი მუშა მუშაობს. ეს კი, თავის თავად ცხადია, ზედმეტ ხარჯებს მოითხოვს ქარხნისაგან და ფერხდება მისი ნორმალური მუშაობა. უკანასკნელად ამას ყურადღებას აქცევს კავშირი. ნიშნავს ქარხანაში ისეთ სპეციალისტ-მუშებს, რომელთაც უნდა ხელი შეუწყონ ქარხნის ტეხნიკურ მხარეს, შეაკეთონ დაზიანებული მანქანები და სხვა.

ცხადია, ეს ზომები გამოაბრუნებს ოდნავ მაინც ამ ქარხნის მდგომარეობას, მაგრამ ქარხნის გამგის— ინჟ. ნიკ. ტატიშვილის აზრით ამ ქარხნის სავსებით კარგ მდგომარეობაში ჩაყენება საეჭვო საქმეა. მისი აზრით, ვინაიდან ეს ქარხანა ერთობ ბევრ ხე-ტყის მასალას თხოულობს, ის ამიტომ გადახალისებულ, გაუმჯობესებულ საწარმოო აპარატებით უნდა გადატანილ იქნას სადმე ტყიან ალაგას—ბორჯომისაკენ ან სხვაგან.

ჩვენის აზრით, რაღაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ამ ქარხანაზე. ერთადერთი წუწუმის ქარხანა გვაქვს საქართველოში და ნუ თუ ასეთი მნიშვნელოვანი წარმოება ისე უხეიროდ გვაქვს მოწყობილი, რომ მოგების მაგიერ დეფიციტს იძლევა? დღეს, როდესაც ფაბრიკა-ქარხნების გაუმჯობესების ხანაა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში, ჩვენშიაც უნდა გამოსწორდეს ამ დარგში ნაკლოვანებანი. უნდა მოეწყოს დასახელებულ ქარხნის საქმე წარმატებით. ჩვენ იმედი გვაქვს ამას შესძლებს ჩვენი სახალხო მეურნეობის საბჭო.

მუშკორი ჩხეიძე.

„ერევანკა“ უნდა ავლაგმოთ

საკვირველია სწორედ ის მდგომარეობა, რაც ხდება დღის შავ ბირჟაზე—„ერევანკაზე“. ყველა თითქმის იქეთკენ მიიშურება, რომ ვალიუტის ყიდვით მაინც გადაარჩინოს თავისი ნათლელი ბონები; ამით, რასაკვირველია, ერევნის „ვალიუტჩიკები“ ჰქმნიან ერთნაირ „პანიკას“ და არღვევენ იმ ბაზრის წონასწორობას, რომელსაც თავისი ნორმალური ჩარჩო დიდი ხანია დაკარგული აქვს ამ სპეკულიანტების მეოხებით. ამას თუ დავუმატებთ კიდევ იმას, რომ ამ სპეკულიანტებსაც თავისი მანერები აქვთ გამომუშავებული, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი მშრომელი ეცემა მათ ანკესზე.

მათი მანერები კი გამოიხატება შემდეგში; თითქოს განგებ ამ შავ ბირჟაზე ისეთი ხალხი ტრიალებს, რომ თუ კარგად არ დაუკვირდით, ვერც კი გამოიცნობთ მათ ხრიკებს; რადგან მშრომელთა დიქტატურა არსებობს, ისინიც ცდილობენ ცოტათი მაინც დაემსგავსონ გარეგნული ჩაცმულობით ვითომდა მუშებს, და ზოგიერთები ისეთები არიან,—ცერცვი რომ შეაყაროთ, ერთი არ ჩამოვარდება,—ლირებით კი უბეები გატენილი აქვთ. ბევრი ამას ვერ ამჩნევს; გარდა ამისა იქ მოხეტიალე სპეკულიანტებს ან კაფეში, ან რომელიმე დუქანში უფრო მსხვილები ვალიუტჩიკები მეთაურობენ, წვრილფეხანი კი უფრო მათი აგენტების როლს თამაშობენ; აი ესენია, რომ ჰქმნიან ვალიუტის ვაკხანალიას. დღესაც ძლიერ გათამამდენ შავი ბირჟის გმირები.

საჭიროა აუცილებლად მოსკოვის მაგალითი ტფილისის მუქთა-ხორებსაც უჩვენოთ და ავზარგოთ ისეთი ელემენტები, რომლებიც შავ ბირჟაზე მუშათა ნაოფლარით სუქდებიან და თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ, ამავე დროზე საბჭოთა რესპუბლიკისთვის მათ ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ და ხელსაც გვიშლიან ჩვენ ფინანსურ-ეკონომიური სახელმწიფო აღმშენებლობითი სფეროში.

შავბირჟელების ალაგმვა აუცილებელია.

მუშკორი უ. ჯაში.

მე-6 უბნის შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ.

ნავთლუღის გზაზე შავი ზღვის ქუჩა № 1 ვინმე ვანო გულიევს (ყასაბ-ყულიას ეძახიან) აქვს ბაკი, რომელშიაც ჰყავს როგორც საქლავი, საქონელი, აგრეთვე სამუშაო თავის ფურგონით. აღნიშნულ გულიევს დაქირავებული ჰყავს კოლა ხუტულაშვილის მცირე წლოვანი ბავშვი. საბრალო ბავშვი სიცივეში უვლის და ჰყარაულობს კიდეც ამ საქონელს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ღებულობს იგი ჯამაგირს გულიევისაგან, ბავშვმა მიპასუხა: თვეში ოცდა ათი მილიონი მანეთი მაქვს ჯამაგირი, ქალამნებიც ხაზეინისა არის და პურს კი ჩემსას ვყიდულობო. ასეთი ექსპლოატაცია და ისიც მცირე წლოვანისა ნიშნავს საბჭოთა შრომის კანონების დარღვევას, რაც დღეს დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა, ამ არანორმალურ მოვლენას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და სასტიკად დაისაჯოს ეს „ყასაბ ყულია“, როგორც მცირე წლოვანის ექსპლოატატორი.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

გავყიდეთ წყალსადენი

(ტფილისის აღმასკომის საყურადღებოდ).

ავლაბარში, დაღისტანის ქუჩაზე მცხოვრებმა მუშებმა და ადგილობრივმა ღარიბ მოსახლეობამ ვიწვალეთ, ვიშავდღიეთ და როგორც იყო მოვაგროვეთ ფულები და გავაშენეთ ერთი, პატარა წყალსადენი. ყველას საგრძნობი ფულები გვაქვს ჩაყრილი ამ მილის გაკეთებაში, ვინაიდან ამ რაიონში სხვაგან არსად არ არის წყალსადენი, რომ წყლით ვისარგებლოთ. ერთმა ვიღაც ბოროტმოქმედმა ჩაიდინა ბოროტება და ამ წყლის ფული, რომელიც აღმასკომში უნდა ჩაებარებინა მას, ეს ფული შეჭამა. აღმასკომმა კი ფულის შეუტანლობის გამო მეორე დღეს დააკეტინა წყალსადენი,—ჩვენ კი უწყლოდ დავრჩით. აი ეთ უბედურ მდგომარეობაში ვართ—აქ მცხოვრები მუშები. ამისთვის ვთხოვთ აღმასკომს არ დაგვხოცოს უწყლოდ, სასწრაფოდ გააღოს ეს წყალსადენი. ჩვენ მივიღებთ ყოველივე ზომას, რომ წყლის ფული თავის დროზე და სათანადო რაოდენობით შევიტანოთ აღმასკომში.

მუშა ი. ჯ.

ჩვენი მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

თქვენი მუშკორის შენიშვნაზე „ლოთები უნდა ავლაგმოთ“ ის სათაურით (იხ. „კომუნისტი“ № 276) გაცნობებთ, რომ დამლაგებელი პოპოვი, როგორც გაუსწორებელი ლოთი, უკვე დათხოვნილია სამსახურიდან.

რკინისგზის სამმართველოს სახელით მუშკორი ვახიძე.

— შენიშვნის გამო, რომელიც მოთავსებულია „კომუნისტი“-ს № 286 ში მოქ. პეტროსიანცის საბჭოთა სახლისადმი ცუდად მოპყრობის შესახებ, მიღებულია სათანადო ზომები; განზრახულია მოქ. პეტროსიანცის აღნიშნული ბინიდან გამოსახლება და იქ ჩასახლება რომელიმე პირის ოჯახის წევრთა მეტი შემადგენლობით.

— შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებულია თქვენი გაზეთის მე-276—ნომერში სათაურით—**„საჭირო ღონისძიებანი ქალაქის კეთილ - მოწყობისთვის“.** აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ მომართვით ამ 7 იანვრიდან მე 60 ნომრით შეგვატყობინა, რომ ქუჩების მოკირწყვლა შეტანილია 1924 წლ. ხარჯთ აღრიცხვაში და თუ იქნება დამტკიცებული, შესაძლებელია, შეუდგეთ მუშაობას რაც შეეხება ბაღის გაშენებას, მიღებულია ზომები, მაგრამ ამ ღორის გადატანა იწვევს დიდ ხარჯებს. მუშაობა დროებით შესაძლებელია შეჩერდეს.

აღმასკომის სტატგანყოფილების საინფორმაციო ქვეგანყოფილება.

— შესახებ წერილისა სათაურით: „ეს მოვლენა ძალიან უცნაურია“ (ა. | წ. 24 ნოემბრის მე-271 ნომერში) ქალაქის მილიციის უფროსმა მომართვით 11 დეკემბრიდან 1923 წ. № 8649 გვაცნობა, რომ მის განკარგულებით ექიმ ტატოსიანცისთვის ჩამოერთმევათ შესაფერი ხელწერილი, რომ შემდეგში ზან გასაშრობი საცვლები ფანჯრებში არ გამოფინოს.

აღმასკომის ინფორმატორი ვარდოსანიძე.

— „კომუნისტი“-ს მუშკორების საერთო კრება. დღეს, 7 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტის“ მუშკორების საერთო კრება კრებაზე ასარჩევია დელეგატები ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მეორე კონფერენციაზე და აიწრებათ. ყველა მუშკორი ვალდებულია გამოცხადდეს აღნიშნულ კრებაზე.

ლი გლოვის სურათები და მრავალი დროშებით გაემართნენ მთავარი ქუჩით (ნინოშვილის ქ.); პროცესია შეჩერდა ქალაქის ცენტრში, ჭიათურის უბნის აღმასკომთან გამოფენილ ლენინის სურათის წინ, სადაც მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კ. გამეზარდაშვილმა, შემდეგ—განაგრძო მსვლელობა რკ. გზის სადგურისაკენ და „ინტერნაციონალი“-ს და „თქვენ მსხვერპლი გახდით“ ჰიმნით მივიდა მიტინგის პირველ ადგილზე. აქ პროცესია ხელახლად გაიშალა. უკანასკნელ გამოთხოვების სიტყვით გამოვიდა ამხ. ვ. თათეიშვილი. ნაშუადღევის სრულ 4 საათზე ამხ. ლენინის ცხედრის ჩასვენების წუთებში გაისმა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილიდან თოფების გრიალი. ამას გამოეხმაურა მატარებლების და დინამო მანქანების საყვირების გულ-შემზარავი ხმა, რომელიც 3 წუთს გაგრძელდა. პროცესია დაღვრემილი, გულნატკენი და ღრმა ფიქრებს მიცემული წყნარად იშლება.

მ. კ—ე.

ქ. ზესტაფონი

ა | წ. 27 იანვარს, ქალ. ზესტაფონში შესდგა საგლოვიარო მიტინგი ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. ყოველ კუთხეებიდან ეხვევით გლეხებს და მუშებს წითელი შავ არშია შემოვლებულ დროშებით. უკანასკნელად გამოჩნდა შორაპნიდან მომავალი მატარებელი რამოდენიმე ვაგონით, რომელიც იყო გაჭედილი რკინის გზის მუშებით და აგრეთვე გლეხებით. თვით მატარებელი იყო შემოსილი საგლოვიაროთ.

სრულ 1 საათზე იხსნება მიტინგი, რომელსაც ხსნის რაიპარტკომის მდივანი ამხ. კ. ფუტკარაძე, მიტინგზე იყო წარმოთქმული მრავალი სიტყვა. ორატორები ახასიათებდნენ ამხ. ლენინს ყოველმხრივ.

სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

დამ.წრე კ. ს.

დ. ჩოხატაური

სამშაბათს, 22 იანვარს, ადგილობრივი რაიკომის მიერ მოწვეული იყო ჩოხატაურში მიტინგი 1905 წ. 9 იანვრის აღსანიშნავად, თვითმპყრობელი მთავრობის მიერ პეტროგრადში დახოცილ მუშების სახსოვრად. მიტინგს ხალხი ბლომათ დაესწრო. დილიდანვე მთელ დაბაში ფრიალებდა წითელი დროშები. ამ დღის შეწყვეტილი იყო ყველა სასწავლებლებში და სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობა. დღის 12 საათზე როგორც სოფლის მცხოვრებლები, აგრეთვე ყველა სკოლის მოწაფეები მოდიან დაბაში დაწყობილი, წითელი დროშებით ხელში და რევოლიუციონური სიმღერებით.

მიტინგს გახსნილად აცხადებს რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვასილ რონიშვილი და აცნობს დამსწრეთ მიზეზს დღევანდელი კრებისას. შემდეგ ტრიბუნაზე ადის სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. თ. ჩიჩუა; ის მდაბიო ენით და ვრცლად აცნობს მიტინგს 1905 წ. 9 იანვრის ისტორიას და მის მნიშვნელობას მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გერმანიაში მენშევიკურ მთავრობის მიერ 1918 წ. ვერაგულად მოკლულ რევოლიუციონერებს ამხ. კარლ ლიბკნეხტს და როზა ლიუქსემბურგს.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. სივერიან მინდაძე. ის აკეთებს დღევანდელ მომენტზე მოხსენებას და აცნობს დამსწრეთ, რომ საბჭოთა კავშირი როგორც პოლიტიკურათ, აგრეთვე ეკონომიურათ უკვე წელში გაიმართა.

უკანასკნელად ტრიბუნაზე ადის კომკავშირის წარმომადგენელი ამხ. დ. კობახიძე. ის ეხება კომკავშირთა წევრების ზრდას გერმანიაში, რომლის ერთი დამაარსებელი იყო კარლ ლიბკნეხტი; მას მოყავს სტატისტიკური ცნობები და აცნობს დამსწრეთ, თუ რამდენათ გაიზარდა ლიბკნეხტის სიკვდილის შემდეგ ეს კავშირი, აგრეთვე მოყავს საქართველოს ფარგლებში კომკავშირის ზრდის ცნობები. დაბოლოს აღნიშნავს კომკავშირის და კომპარტიის მჭიდრო კავშირს ურთიერთ შორის.

ხეფე ცინცაძე.

დ. საჯამიასერი (გურია)

საჯამიასერი დაშორებულია სამაზრო ცენტრზე დაახლოვებით 35 ვერსის მანძილზე, სადგურ საჯავახოდან კი—7—8 ვერსის მანძ. აქ მოთავსებულია ყოველივე სარაიონო დაწესებულება, როგორც რაიპარტკომი, რაიაღმასკომი, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, 7 წლიანი შრომის შკოლა, საექიმო პუნქტი აფთიაქით, კოოპერატივი, სამკითხველო და სხვა, აგრეთვე აქვე ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით და ენერგიული მუშაობით შენდება დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი სახალხო სახლი, რომელიც დასრულდება მოკლე ხანში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ რაიონში სწარმოებს დიდი აღმშენებლობა, რისთვისაც მადლობა უნდა გამოეცხადოს ინიციატორებს ამხ. ა. ზაქარეიშვილს, ამხ. გ. ქკუასელს, გ. ხუნდაძეს და სხვებს.

დარწმუნებული ვართ, როგორც საჯამიასერის რაიონი, აგრეთვე საჯავახოს აღმასკომის შეთანხმებით და შეერთებით შეუდგებიან ს. საჯავახოდან საჯამიასერამდე განადგურებული გზების აღდგენას.

ქუჩუნა.

ბიბლიოგრაფია

ჯონ რიდი

„ათი დღე რამაც შესძრა ქვეყნიერება“

წითელი წიგნის გამომცემლობა 1923 წ.

ამ წიგნმა დიდი ყურადღება მიიპყრო როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და, ის კიდეც ღირსია ამის. დღეს, როდესაც აღარ გვყავს ოქტომბრის რევოლიუციის გენიალური ხელმძღვანელი ლენინი, ეს წიგნი კიდევ უფრო მეტი ხალისით და ცხოველი ინტერესით წაიკითხება. ოქტომბრის რევოლიუცია, საბჭოების მიერ ძალა უფლების აღების პირველი პერიოდი, რომელიც სავსე იყო პირდაპირ ზეკაცური ენერგიით და გმირული თავდადებით დაუშრეტელი წყარო იქნება ისტორიკოსთა, მწერალთა და ყოველი დარგის ხელოვანთა კვლევა-ძიებისათვის. მომავალში ალბად არაერთ და ორს გენიალურ ნაწარმოებს ვნახავთ კაცობრიობის ისტორიის ამ უდიდესი მომენტის შესახებ მაგრამ საეჭვოა, რომ ვინმემ შესძლოს ასეთი ფოტოგრაფიული სისწორით, დამახასიათებელი მომენტების და ცოცხალი სცენების გადმოცემა მოვლენათა თანდათანობითი განვითარების მიხედვით, და რევოლიუციის მთელი სიდიადის წარმტაცი სურათების გადმოშლა.

ვისაც სურს იცოდეს ოქტომბრის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები და მის შემოქმედ გენიოსთა მოღვაწეობა, მან აუცილებლად უნდა წაიკითხოს და წაიკითხავს კიდეც ჯონ-რიდის წიგნს „ათი დღე, რამაც შესძრა კაცობრიობა“. ვისაც სურს მუდამ თვალწინ ჰქონდეს ოქტომბრის რევოლიუციის თვალწარმტაცი სურათებიც მას მუდამ ხელთ უნდა ჰქონდეს ეს უკვდავი წიგნი, რომელიც ჰომეროსის ეპიური ტონით მოგვითხრობს იმ ამბებს, რამაც ახალი ქვეყნის დასაწყისი მოგვცა.

წიგნის დიდ ღირსებას, თვით ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მის ამერიკული გამოცემისთვის წინასიტყვაობაში ჩვენი უდიდესი ბელადი ლენინი სწერს: „უდიდესი გულმოდგინებით და დაუღალავი ყურადღებით წავიკითხე ჯონ რიდის წიგნი: „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“. სულით და გულით ვურჩევ ყველა ქვეყნის მუშას წაიკითხოს ეს წიგნი. ვისურვებდი მენახოს იგი მილიონობით გავრცელებული და ყველა ენაზე გადათარგმნილი, რადგანაც ეს წიგნი იძლევა ჭეშმარიტ და შეუდარებელ სიცოცხლით დაწერილ მოთხრობას აწ განვლილ ამბებისას, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებათ, თუ რა არის პროლეტარული რევოლიუცია, რა არის პროლეტარიატის დიქტატურა?“

ქართულ თარგმანში მოყვანილია აგრეთვე ის წინასიტყვაობა, რომელიც რუსულ გამოცემას უძღვის. კრუპსკაიამ. აქედან და წიგნის დასასრულში მოთავსებულ ბიოგრაფიულ ცნობებში ჯონ-რიდის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ამ ძვირფასი ნაწარმოების ავტორის ვინაობას. ჯონ-რიდი ამერიკული სოციალისტური გაზეთების კორესპონდენტათ იყო რუსეთში, სადაც მას მოუსწრო ოქტომბრის რევოლიუციამ. ის გარდაიცვალა მოსკოვში.

წიგნის შესავალში თვით ჯონ-რიდი არკვევს თავის ნაწარმოების მნიშვნელობას და იმ მიზნებს, რომელსაც ისახავდა მის დაწერის დროს. ავტორი დარწმუნებულია რომ „ბოლშევიკები რუსეთში ერთადერთი პარტიაა, რომელსაც გააჩნია შემოქმედებითი პროგრამა და საკმაო ძალა ამ პროგრამის განსახორციელებლად“.

ყველა მომენტები, რომელიც მოთხრობილია ჯონ-რიდის მიერ უდიდეს ინტერესს იწვევს მკითხველში, მთელი წიგნი წარმოადგენს იმ დოკუმენტების და სცენების კრებულს, რომლის ფონზეც ვითარდებოდა ოქტომბრის რევოლიუცია.

სრულებით მიზანშეწონილი იყო ამ წიგნის ქართულად გადმოთარგმნის დროს კონკურსის გამოცხადება, რადგანაც ის მეტად ძვირფასი განძია, რომელსაც დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ თარგმნის დროს.

შეიძლება ზოგიერთ წვრილმანებში ვერ დავეთანხმოთ მთარგმნელებს, მაგრამ საერთოდ ილ. ზურაბიშვილის და ან. საყვარელიძის თარგმანი სავსებით დამაკმაყოფილებელია, საეჭვოა, რომ ვინმეს უკეთ შეესრულებია ეს საქმე. კორექტურაც კარგათ არის დაცული, რაც იშვიათია ქართულ გამოცემებში.

წიგნი შეიცავს 340 გვერდს, და ღირს 1. 25 კაპ. ჩერვონცით.

ი. ბ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

„კომუნისტი“-ს № 9 (862) ში მოთავსებული იყო ამხ. ს. ორჯონიკიძის მოწინავე წერილი შემდეგი სათაურით: „საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმი, თვითნებობა თუ უგუნურობა?“.

ამხ. ს. ორჯონიკიძე და მისი წერილის შინაარსი ეხება შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს ამხ. ვ. თათეიშვილის სახით და პრინციპიალურად ილაშქრებს ადგილობრივ გადასახადების და გამოსაღებების გატარების წინააღმდეგ—ერთი და მეორე ვინ იცის რა უგუნურებას, რეგვენობას, სისულელეს, თვითნებობას არ ხედავს ჩემში. ბრალი ჯერია, რომ მე კომუნისტი ვარ, მაგრამ იღბალი, რომ მისი ნაცნობი შევიქენი. საჰაღმასკომის პრეზიდიუმმა არ იცის, რატომ გამორჩა ამხ. ს. ორჯონიკიძეს მხედველობიდან ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა.-კ ს ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 24 ივნისის დადგენილება, რაზედაც ხელს აწერს ამხ. ამხ. მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი და ბ. ტალიბლი და 1923 წლის 2 აპრილის დეკრეტი, რომლის დაუყონებლივ გატარებისათვის არა ერთი და ორი დამატებითი განმარტებანი მიიღო აღმასკომმა. იხილეთ ა.-კ ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამოცემა „ადგილობრივი ფინანსები“, მასში მოყვანილი წესები გადასახადთა დადებისა ბაზარზე გასაყიდად მორეკილ საქონელზე ქალაქებში და იქ კიდევ მეტს ნახავთ, ვიდრე ეს შორაპნის მაზრის აღმასკომმა განახორციელა ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ბოლოსდაბოლოს ჩემს პირადობაზე, იმის შემდეგ, რაც შორაპნის მაზრის აღმასკომმა ამიერ-კავკასიის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კანონები და დეკრეტები გაატარა ცხოვრებაში, თითქოს არ შეიძლება ლაპარაკი.

შორაპნის მაზრის აღმასკომს ეჭვი არ ეპარება, რომ მსგავსი გადასახადების გატარება გლეხობაში უხერხულობას იწვევს. ამის გამო ზემოხსენებულ დეკრეტების და კანონების ფარგლებში მან შეღავათი მისცა ადგილობრივ მცხოვრებთ და ცენტრალური ხელისუფლების კანონებით გათვალისწინებული გადასახადთა განაკვეთის მინიმუმი აიღო, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ქალაქებში: ჭიათურაში, ზესტაფონში, ხარაგში, ბელოგორში, საჩხერეში და არა პროვინციებსა და პერიფერიებში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ დადგენილებაში ზოგიერთ შემთხვევებში მართლა უცნაური და ადგილობრივ პირობებთან შეუფერებელი გადასახადია შემოღებული, როგორც მ. გ. ძაღლებზე და სხვა, მაგრამ შორაპნის სამაღმასკომმა კარგად იცის ადგილობრივი პირობები, გლეხების მდგომარეობა, მათი ფსიხოლოგია და ამიტომ თითეულ ცალკე შემთხვევაში ის მათთან შესათანხმებელ სამოქმედო ხაზს ადგას. რომ ყოფილიყო ადგილობრივ ორგანოთა და დაწესებულებათა შესანახათ, კულტურულ განმანათლებელ და საკომუნალო სამშენებლო მიზნებისათვის სხვა ღონისძიებანი, აღმასკომი, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე მწვავედ დგას ეს კითხვა ადგილობრივ, როგორც ამხ. ს. ორჯონიკიძეს გონია, მაინც მოერიდებოდა ამ „უცნაურ“ გადასახადების გატარებას და სხვა გზას გამონახავდა. მაგრამ შორაპნის მაზრის აღმასკომს არა აქვს ის ტრესტები და სინდიკატები და სავაჭრო განყოფილებანი, როგორც ეს მაგ. ტფილისშია ან სხვა ადგილებში არის.

შორაპნის მაზრის აღმასკომის ერთიერთ შემოსავლის წყაროთ ჭიათურის რკ. გზის სადგურიდან გატანილ შავი ქვის საფუთო გადასახადი უნდა ჩაითვალოს და ისიც სახელმწიფო ბანკის მიერ სამაღმასკომზე ვალად მიცემულ კაპიკებმა ჩანთქა და დღემდე აღარც ეს შემოდის სამაღმასკომს. მაგრამ არ არის საჭირო ამ შემთხვევით ვისარგებლო და ახლა დავიწყო ლაპარაკი შორაპნის მაზრის შემოსავლის და გასავლის წყაროების აღრიცხვაზე ამაზე შემდეგ.

შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და მის თავმჯდომარეს (ე. ი. პირადათ მე) აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია ცენტრალური ხელისუფლების და უმაღლეს ინსტრუქციათა დეკრეტების განკარგულებათა შესრულება იმდენად, რამდენადაც ეს მას ეხება და ადგილობრივ პირობათ ეგუება. ჩვენ ასეც ვიქცევით და მოვიქცევით მომავალშიც.

თუ რომელიმე კანონი და დეკრეტი საზიანო აღმოჩნდება—მათი გამოსწორება ან გაუქმება საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური აპარატების უშუალო საქმეა და არა სამაღმასკომის და კერძოდ ჩემი.

დასასრულ, რა უნდა ვთქვა ნ რესპ. დანარჩენ აღმასკომებმა, რომლებიც ისევე ასრულებდნენ და ასრულებენ ზემოხსენებულ დეკრეტებს, როგორც შორაპნის სამაღმასკომი. ამ შეცდომას შემთხვევით და ურიგოდ აქვს ადგილი და იგი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორებულ იქნეს ან შორაპნის მაზრის აღმასკომის მიერ ადგილობრივ შემოღებულ გადასახადების საფუძვლის, ე. ი. დეკრეტების და დადგენილებათა გაუქმებით ან და ამხ. ს. ორჯონიკიძის წერილის უარყოფით.

შორაპნის სამაღმასკომის თავმჯდომარე ვ. თათეიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— წინადადება ეძლევა ამხ ისიდორე თალაქვაძეს გამოცხადდეს ც. კ. სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში ხვალ დილის 10 საათზე.

ც. კ. სააგიტ. საპროპაგანდო განყ. გამგე ორაგველიძე.

— დღეს, 7 თებერვალს, საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში გაიმართება სტუდენტობის ტფილისის ბიუროს გაფართოებულ პლენუმის სხდომა სტუდენტების წარმომადგენლობის, კურსკომების და ფაკულტეტების კომიტეტების თავმჯდომარეობის მონაწილეობით.

1. დღის წესრიგი: პროფსექციების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში.
2. მიმდინარე საქმეები. სხდომა იმართება მეორეთ და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ტფილისის ბიუროს მდივანი ნ. მარგველაშვილი

ს. კ. პ. ც. კ-ტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილება სთხოვს ყველა ქვემოხსენებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში შემოიარონ ცენტ. კ-ტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში:

1. არკადი ათაბეგოვი.
2. ალექსანდრე აგრბა.
3. აღნიაშვილი.
4. ნესტორ არჩვაძე.
5. არტემ აკოპოვი.
6. მუშეღ ალავერდიანი.

ც. კ-ტის სააღრიცხვო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ლიცინოვი.

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს 8 თებერვალს, საღამოს 6 ს. მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში ერთიანი პარტიული დღის მაგიერ შესდგება არსენალის რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო რაიონული კრება, სამხედრო ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. ამხ. კახიანის მოხსენება პარტიული კონფერენციის შესახებ.
2. რაიკომის ხელახალი არჩევნები.
3. პარტიის წევრების დამტკიცება.

მდივნის მაგიერ: მაშკევიჩი.

პროფესიული

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში:

— ხუთშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე პოლიტგანათლების მთავარ მართველობასთან არსებულ სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დანიშნულია სასკოლო სექციის მორიგი კრება.

ამ კრებაზე დასასწრებად მოწვეულია ქ. ტფილისის ყველა მოზრდილთა სკოლების მასწავლებელი.

კრებაზე გ. კონიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „კითხვა მოზრდილთა სკოლებში კომპლექსიური მეთოდით სწავლების შესახებ“.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს
გეორგ კაიზერის პრემიერა
გაზ
5 მოქ. თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა

შაბათს, თებერვლის 9-ს
პროფკავშირის წევრთათვის
აზნაურებული მდაბიო

კვირას, თებერვლის 10-ს
ტასო აბაშიძის
25 წლის
იუბილე
კრ. 875 3—2

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
1923—24 წლის სეზონი
დღეს, 7 თებერვალს
გუგენოტები
ხვალ, 8 თებერვალს
ლოენგრინი
ნის. 874 3—2

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ ვინაიდან

ორშაბათი დღე გაზეთების დამტარებლისათვის ითვლება დასვენების დღეთ

(რადგან ისინი კვირაობით მუშაობენ და არიგებენ გაზეთებს). ამიტომ რომ ექსპედიციას არ აქვს საშუალება კვირა დილას დასარიგებელი გაზეთები დაარიგოს ორშაბათს ხშირია შემთხვევა, რომ დამტარებელი, როცა შედის დაწესებულებაში გაზეთის ჩასაბარებლად ვერ პოულობს იქ ვერავის, და მოაქვს გაზეთები უკანვე იქ ექსპედიციაში; რისთვისაც მას უხდება ორშაბათობითაც მუშაობა მათ დასარიგებლად. რადგან ეს მოვლენა არანორმალურია და ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს გთხოვთ, რათა იქნას დანიშნული დაწესებულებებში კვირაობით მორიგე გაზეთების მისაღებად, რომელსაც მოუხდება მორიგეობა 10 საათამდე; წინააღმდეგ შემთხვევაში ორშაბათს გაზეთები არ იქნება ჩაბარებული დაწესებულებებზედ და ექსპედიცია დაგვიანებისათვის პასუხისმგებელი არ იქნება, ამ შემთხვევაში კვირას ჩასაბარებელი გაზეთები ჩაბარებული იქნება მხოლოდ სამშაბათ დილით.

3—1 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედ. გამგე ა. ჩიჩილაშვილი

ინსტრუქცია

პროფკავშირის წევრებზე და მათი ოჯახების შემადგენლობაზე წყლის შეღავათიანი ნიხრის ცხოვრებაში გატარების შესახებ.

§ 1. 1924 წლის 1 იანვრიდან პროფკავშირის წევრებზე და მათი ოჯახების შემადგენლობაზე, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ სახლებში, სადაც გაყვანილია წყალსადენი, წესდება ვედრაზე ¼ კაპეიკით დაკლებული შეღავათიანი ნიხრი, ეს შეღავათი ვრცელდება პროფკავშირის იმ წევრებზე და მათი ოჯახის იმ შემადგენლობაზე, რომლებიც სარგებლობენ სოციალური დაზღვევის უფლებით და აღნიშნული არიან დამზღვევ წიგნაკებში. თვითშრომელთა კავშირის (საშტუდ) წევრებზე და თავისუფალ პროფესიის პირებზე ის შეღავათი არ ვრცელდება.

§ 2. პროფკავშირის წევრებთ, რომელთა სახლშიც არ არის გაყვანილი წყალსადენი, თითო ვედრო წყალი ეძლევათ—¼ კაპიკათ ქუჩებში არსებულ წყლის გასანაწილებელ ბუდკებიდან.

§ 3. პირველ § ში აღნიშნულ შეღავათის მისაღებათ პროფკავშირის წევრები ვალდებულია ყოველთვიურათ, არა უგვიანეს თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს სახლის პატრონს, სახლის მმართველობას ან საკონტროლო კომისიას თავისი ადგილკომიდან პროფკავშირის მიერ დადასტურებული მოწმობა № 1 ფორმის მიხედვით. პროფკავშირის წევრები, რომელთა სახლში არ არის გაყვანილი წყალსადენი, თავისუფლდებიან ამ § ში აღნიშნულ მოწმობის წარმოდგენისაგან.

§ 4. დაწესებულ ვადაზე ყოველი ადგილკომი აძლევს თავის წევრებს ბლანკებზე დადგენილი ფორმის მოწმობებს. ბლანკებს იძლევა წყალსადენის განყოფილება თვითღირებულების ფასებში ამ მოწმობებს უნდა ჰქონდეს სათანადო ხელმოწერები, კავშირის ბეჭედი, გასული № და გაცემის რიცხვი.

შენიშვნა: 1. ყოველი სახლის მდგმურები, თანახმად ა. წ. 15 იანვრიდან № 35 სავალდებულო დადგენილებისა, ვალდებულნი არიან აირჩიონ სამი წევრისაგან შემდგარი საკონტროლო კომისია. კომისია ირჩევა მდგმურთა საერთო კრებაზე, რომელიც ითვლება კანონიერათ, თუ მას დაესწრო მდგმურთა 2 | 3. საკონტროლო კომისიის არჩევის ოქმი სახლის პატრონის და კომისიის წევრების ხელმოწერებით ეგზავნება წყალსადენის განყოფილებას.

შენიშვნა: 2. საკონტროლო კომისიის გადარჩევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის სურვილს განაცხადებს მდგმურთა ნახევარი ან მასზე მეტი რიცხვი.

§ 5. სახლის პატრონი ან სახლის მმართველობა, მიიღებს თუ არა წყლის ფულის უწყებას გამნაწილებელ ბლანკთან ერთად, ვალდებულია საკონტროლო კომისიასთან ერთად ორი დღის განმავლობაში შეავსოს სათანადო ცნობით გამნაწილებელი ბლანკი, მოახდინოს წყლის ფულის განაწილება განაწილებული ბლანკის ფორმის მიხედვით ცალკე ფურცელზე და ჩამოკიდოს ეს უკანასკნელი ფურცელი თვალსაჩინო ადგილზე ცნობათ და ასასრულებლათ არა უმეტეს ორი დღისა. თუ ორი დღის განმავლობაში არ მოხდება ამ ფურცლის შესწორება, მაშინ ამ ფურცლის ცნობები გადაიტანება გამნაწილებელ ბლანკზე და ის პროფკავშირების მოწმობებთან ერთად იგზავნება წყალსადენის განყოფილებაში პირველდაწყებითი გადასახადთან ერთად.

§ 6. წყალსადენის განყოფილება ვალდებულია მიიღოს წყლის ფულის განაწილება მხოლოდ წყალსადენის განყოფილების დაბეჭდილ ფორმის ბლანკზე.

§ 7. წყლის გადასახადის უწყებაში აღნიშნულ თანხას უნდა გამოაკლდეს ის თანხა, რომელსაც აძლევს პროფკავშირის წევრებს შეღავათი. მიღებული ნარჩენი უნდა იქნეს შეტანილი წყალსადენის განყოფილებაში უწყების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

§ 8. ის პირი, რომელიც გასცემს ყალბ ცნობებს და მოწმობებს, გარდა მისგან ზარალის ანაზღაურებისა, მიცემულ იქნება სასამართლოს წესით პასუხისგებაში.

ტფ. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მარძიელი.
მდივანი თიკანაძე. კრ. 879 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების კომიტეტი ამით აცხადებს

შეჯიბრებას

შემდეგ მოწოდებაზე:

1. შიშველი სპილენძის ელექტრონის სადენი:

70 ოთხკ. მილ. სიმსხოის	200 ფუთი
50 „ „ „	40 „

2. განმხოლოებელი (იზოლიროვანი) ელექტრონის სადენი:

70 ოთხკ. მილიმ. სიმსხოის	160 მეტრი
50 „ „ „	40 „
25 „ „ „	150 „
16 „ „ „	500 „
10 „ „ „	100 „
6 „ „ „	100 „
4 „ „ „	350 „
1,5 „ „ „	500 „

განცხადებები სრულ ან ნაწილობრივ მოწოდების შესახებ აღნიშვნით ფასების ჩერვ. მანეთში ფრანკო ტფილისი, შემოტანილი უნდა იქნენ სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში არა უგვიანეს ამა თებერვლის 15 დღის 12 საათისა (ლადო დუმბაძის ქ. № 3). განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საწინდარი 5 პროც. რაოდენობით სრული თანხიდან.

3—1 № 878. სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი ჭეჭინაძე

ექიმი
კ. ბ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—2

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—13

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1725 მიხეილ გოსსის სახელზ ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 498

დაიკარგა საარიცხვო ბილეთი, მოწმობა ორი წლის განმავლობაში გემით მოგზაურობის შესახებ, საოლქო დამზღვევ კასის საექიმო ბარათი, წყალზე მომუშავეთა კავშირის საწევრო წიგნა ძველი პასპორტი, რომელიც ამტკიცებს ჩემს სამსახურს ავიაციაში 19 1921 წ. და შრომის ბირჟის წიგნაკი მაკარი ცინცაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 497. 1—1.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.